მუდმივი დენი - ხალხს, გამანაწილებელი კომპანია - სახელმწიფოს A2

ხორბლის იმპორტზე საბაჟო გადასახადი გაუქმდება A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 29 ივლისი, 2003 წელი. №205 (417)

ფასი 30 თეთრი

პრეზიდენტმა სამი მინისტრი გაწირა

კირვალიძის ბედს მირცხულავა და გოგიაშვილი გაიზიარებენ

არაოფიციალური ინფორმაციით, გუშინ პრეზიდენტთან გამართული სახელისუფლებო ბლოკის სხდომაზე პოლიტიკოსები მათთვის არასაიმედო მინისტრების გადაყენებაზე ბჭობდნენ. საუბარია ფინანსთა, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ინიციატივა თავად საქართველოს პრეზიდენტისგან მოდიოდა. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, სულ მალე დავით კირვალიძის გზას მირიან გოგიაშვილიცა და დავით მირცხულავაც გაუყენონ.

რაც შეეხება თავად სახელისუფლებო ბლოკს.

დღეიდან სახელმწიფო მინისტრმა, მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობასთან ერთად, სახელისუფლებო ბლოკის პოლიტიკური საბჭოს ხელმძღვანელობაც შეითავსა. ეს გადაწყვეტილება საარჩევნო ბლოკის ლიდერებმა გუშინდელ დახურულ სხდომაზე მიიღეს, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტიც ესწრებოდა. როგორც ირკვევა, პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილების მიღების უფლება ექნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბლოკში ჯორბენაძის პოზიციები სულ უფრო მყარდება.

ამის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ არჩევნებამდე სამი თვით ადრე მრავალსუბიექტიან სახელისუფლებო ბლოკში ფუნქციები ჯერაც არ არის საბოლოოდ გადანაწილებული და ისიც არავინ უწყის, რამდენი ადგილი ემეტებათ ერთმანეთისთვის ბლოკის წევრ-პარტიებს. იმის მიუხედავად, რომ ბლოკის ლიდერები სახელმწიფო კანცელარიაში ყოველდღე იკრიბებიან, მდგომარეობა მაინც არ იცვლება. მეტიც, როგორც ამბობენ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ურთიერთობები ბლოკის შიგნით იძაბება.

ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ეს, პირველ რიგში, თავად მოქალაქეთა კავშირში არსებული დაპირისპირებაა. მეორეც: ბლოკში შემავალი პარტიები ერთიან პარტიულ სიაში საკუთარი კვოტებისთვის იბრძვიან და, ამის გამო, ერთმანეთის კონკურენტებადაც გვევლინებიან (ვგულისხმობთ ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებს). და რაც მთავარია: სახელისუფლებო წრეებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმ საშიშროებაზე, რომელიც ბლოკს შეიძლება დაემუქროს, თუკი პრეზიდენტი საჯაროდ განაცხადებს, რომ არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს არჩევნებში ღიად მხარს არ დაუჭერს.

ასეთი რთული მდგომარეობის მიუხედავად, პრეზიდენტის მხარდამჭერები ურთიერთობების საბოლოო გარკვევას ჯერ არ აპირებენ. ყოველ შემთხვევაში, გუშინ, პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსული პოლიტიკოსები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ბლოკში ყველაფერი რიგზეა და რომ კვოტებზე უპრობლემოდ შეთანხმდებიან. გუშინვე ითქვა, რომ ბლოკში მალე მორიგი პოლიტიკური ორგანიზაცია გაწევრიანდება. თუმცა, კონკრეტულად რომელ პარტიაზეა საუბარი, ჯერჯერობით გაურკვეველია.

24 საათი

ამინდი

თბილისი	25
ბათუმი	23
ქუთაისი	21
სოხუმი	20
ცხინვალი	23
თელავი	22
ბოლნისი	25
ფასანაური	22
სამტრედია	27
ლაგოდეხი	25
თიანეთი	23

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.4625
გირვანქა სტერლ	3.4452
რუბლი	0.0705

მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოვა

გია ხუხაშვილი

რუსეთში პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ, ყველა სცენარი, მათ შორის საგარეოპოლიტიკურიც, ფედერალური უშიშროების სამსახურში იწერება. შედეგად მივიღეთ თავისუფალი მასმედიის განადგურება, ოპოზიციის მაქსიმალურად დასუსტება, კაპიტალის კრემლის კონტროლის ქვეშ მოქცევა და სასურველი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. ამას უკავშირდება რუსი ოლიგარქების შევიწროებაც. მათ მარტივ არჩევანს სთავაზობენ - ან კაპიტალს მიმართავენ დღევანდელი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად, ან ყველაფერს დაკარგავენ. ძნელად დასაჯერებელია, რომ, პრინციპული მოსაზრებების გამო, რომელიმე ბიზნესმენი წავიდეს ყველაფრის დაკარგვაზე და, შესაბამისად, უფრო რეალურია, რომ მათი დიდი ნაწილის ფული კრემლის სამსახურში ჩადგეს. თუმცა, ამის გამოაშკარავება საკმაოდ რთულია, რადგან სცენარი ხომ შენიღბვის დიდოსტატების მიერ არის დაწერილი.

დევნილის იმიჯით აღჭურვილი ანუ პოლიტიკურად გარეცხილი რუსული კაპიტალი გაემართება იქით და იმ სახით, როგორც მას კრემლიდან ანუ ფსბდან უკარნახებენ. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს სხვადასხვა ქვეყნებში ეწყობოდა გადატრიალებები, რევოლუციები, ხელისუფლებაში მოდიოდნენ რუსეთის უშიშროების კომიტეტის მიერ გამოწრთვნილი პოლიტიკოსები. ხალხი, რომელიც ყველაფერ ამას გეგმავდა და ახორციელებდა, დღესაც მუშაობს და მათი მთავარი სამიზნე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებია. მსოფლიოს რუსეთის სახით მოევლინა რესპექტაბელურ ნიღაბს ამოფარებული ურჩხული, რომლის მთავარი მიზანი ტრანსფორმირებული საბჭოთა კავშირის აღდგენა და ახალი ანუ ძველი მსოფლიო წესრიგის დამყარებაა.

გაგრძელება A3 გვერდზე

საზეიმო ცერემონიალი რესპუბლიკის მოედანზე

ბესიკ ბელაშვილის ფოტო

ქართული არმიის მომავალი ოფიცრების საზეიმო მსვლელობა

გუშინ რესპუბლიკის მოედანზე თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსანტთა მეშვიდე გამოშვების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. აკადემიის დასრულება კურსანტებს საქართველოს პრეზიდენტმა, სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ და თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ მიუღოცეს. კურსდამთავრებულებს სპეციალური დიპლომები, სამხრეები და სამკერდე ნიშნები გადაეცათ. წელს გიორგი ბრწყინვალეს სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემია 182-მა კურსანტმა დაამთავრა. მათ შორის 142 - შინაგან ჯარებში, 40 კი საზღვაო სამხედრო ნაწილში დასაქმდება.

ინტერ-პრესი

„მე პესიმისტური ოპტიმისტი ვარ„

გიორგი გახელაძე

თანამდებობაზე ახალშემდგარმა, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალექსანდრე თვალჭრელიძემ მუშაობის ერთი თვის თავზე სამსახურის ახალი და ამბიციური სტრატეგია წარადგინა. იმთავითვე ეტყობა, რომ საქართველოს ბუნებრივი რესურსების მართვის სარფიანი უფლებებისათვის უწყებრივ-პოლიტიკური დიდი ბრძოლა გაიმართება. **“მე პესიმისტური ოპტიმისტი ვარ და ყოველთვის მაქსიმალისტური იდეები მაქვს. მაგრამ, თუ განხორციელებისას ზღვარგადასული სუბიექტური წინააღმდეგობები ვერ გადავლახე, თანამდებობას იოლად დავთმობ,”** – ასე წარმოუდგენია ალექსანდრე თვალჭრელიძეს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტების მოგვარება. თუმცა, იგი ირწმუნება, რომ უკვე აქტიურად თანამშრომლობს პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან: **“ერთადერთი, ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან გვიჭირს საერთო ენის გამონახვა”.**

გაგრძელება A2 გვერდზე

პავაროტის პარტნიორი საქართველოდან

ელისაბედ მარტიროსიანი მსოფლიო საოპერო სცენას იპყრობს

მადი სერებრიაკოვა

ელისაბედ მარტიროსიანი რამოდენიმე წლის წინათ, კონსერვატორიის დიდ დარბაზში ნიკა მემანიშვილისა და დავით საყვარელიძის მიერ იაკოპო პერის “ორფეოსი და ევრიდიკეს” მიხედვით განხორციელებულ წარმოდგენაზე Drama per Musica გავიცანი. ორიგინალური მუსიკის, რეჟისურის, კოსტიუმების (ისინი მაკა ასათიანს ეკუთვნოდა) და ახალგაზრდა მომღერლების წყალობით, სპექტაკლმა მაშინ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ლიზა მთავარ პარტიას (დაფნეს) მაშინ ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტობისას მღეროდა. ამ სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა არა მარტო საქართველოში, არამედ ავსტრიაშიც, სადაც მისი ვიდეოჩანაწერი ნიკა მემანიშვილმა აჩვენა. მაშინ ჯერ კიდევ უცნობ ლიზა მარტიროსიანს დიდ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. როგორც ჩანს, წინასწარმეტყველება ახდენას იწყებს: რამოდენიმე კონკურსში გამარჯვების შემდეგ, ცოტა ხნის წინათ, ლიზა მარტიროსიანმა კონცერტი თავად ლუჩანო პავაროტისთან ერთად გამართა.

“როდესაც ქალაქში მივდიოდი – იხსენებს ლიზა – **მრცხვენოდა, რომ ჩემი სახელი ასეთი დიდი ასოებით პავაროტის ქვეშ ეწერა”.** თუმცა, თავმდაბლობის საბაბი ახალგაზრდა მომღერალს ნაკლებად აქვს.

გაგრძელება A7 გვერდზე

შევარდნაძე "თელასის" ყიდვას ქართველ ბიზნესმენებს შესთავაზებს

თამარ ხორბალაძე

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი ტრადიციულ ბრიფინგზე ბოლო პერიოდის თითქმის ყველა აქტუალურ თემას გამოეხმაურა და გარკვეული, საკმაოდ საგულისხმო მინიშნებებიც გააკეთა.

საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელმა გამოსვლამ ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, შექმნა შთაბეჭდილება, რომ ედუარდ შევარდნაძე დაბნეულია. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ ბრიფინგზე მან ორი, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი პოზიცია დააფიქსირა:

ერთი მხრივ, მან განაცხადა, რომ **“საქართველოსა და სს “გაზპრომს” შორის წინასწარი შეთანხმება და სტრატეგიული ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მომზადების პროცესშია, არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს და ბუნებრივი აირის გარანტირებულ მოწოდებას გულისხმობს.”**

შევარდნაძის თქმით, როდესაც ზამთარი დადგება, მაშინ დაიწყება ხელისუფლების მიმართ პრეტენზიები, რომ გადაწყვეტილებებზე მთავრობას უფრო ადრე უნდა ეფიქრა.

პრეზიდენტის აზრით, ამჟამად საქართველოსთვის ბუნებრივი აირის ერთადერთ მომწოდებელ რუსულ კომპანია “იტერას” მთლიანად ქვეყნის ბუნებრივი აირით დაკმაყოფილება არ შეუძლია, **“თუკი ერთგვარი კონკურენცია იქნება “იტერასა” და “გაზპრომს” შორის, შესაძლოა, ეს ცუდი არ იყოს.”**

გაგრძელება A3 გვერდზე

შიმშილობის სასწაული

გიორგი ასანიშვილი

საპენსიო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით მოშიმშილე "ნაციონალების" თორმეტდღიანი თვითგვემა დამთავრდა. თერაპიის ინსტიტუტში სამედიცინო გამოკვლევის გავლის შემდეგ, საპროტესტო აქციის მონაწილენი გუშინ სახლებში დაბრუნდნენ. მართალია, ექიმები ითხოვდნენ, რომ, სრულფასოვანი შემოწმების მიზნით, მათი პაციენტი პოლიტიკოსები კლინიკაში კიდევ რამდენიმე დღე დარჩენილიყვნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. **"თუ სახლში არ გამიშვებთ, მოშარდვას შევწყვეტ და შიმშილობას განვაახლებ,"** - მთავრობასთან ულტიმატუმების ენაზე საუბარს მიჩვეულმა კობა დავითაშვილმა თერაპიის ინსტიტუტის სამედიცინო პერსონალთანაც იგივე მეთოდს მიმართა. ნაცადმა ხერხმა ამჯერადაც გაამართლა: ექიმებმა ფარ-ხმალი დაყარეს და "ნაციონალების" ავადმყოფობის ისტორია დახურეს.

თერაპიის ინსტიტუტის გულის იშემიური განყოფილების გამგის კახა ნადარაიას თქმით, ექს-მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია, თუმცა, როგორც ირკვევა, მათ პროტესტს უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია - ორგანიზმში რიგი დარღვევები აღენიშნებათ.

"ახლა მეუბნებით ამას?" - კობა დავითაშვილის მსგავსად, შიმშილობას არც დეპუტატ აკაკი ბობოხიძის ხუმრობის ხალისზე უმოქმედია.

რაც შეეხება "ფიზიკურ დანაკარგს", საპროტესტო აქციის მონაწილეთა შორის ამ მხრივ "საუკეთესო მაჩვენებელი" აქვს პარლამენტარ ლადო ჭიპაშვილს: პენსიონერებზე ზრუნვის "წყალობით" მან 14 კილოგრამი დაიკლო. აღნიშნულ "ნომინაციაში" მეორე ადგილზეა კობა დავითაშვილი - 10 კილოგრამი...

გაგრძელება A2 გვერდზე

ანტიკორუფციული საბჭო საგზაო პოლიციის შეფის წინააღმდეგ

დღეს საქართველოს ანტიკორუფციული საბჭო ქვეყნის საგზაო პოლიციის უფროსის დავით კობახიძის პასუხისმგებლობის საკითხის წამოჭრას გეგმავს.

მოხსენება, რომელსაც ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე დღეს საბჭოს მდივანი კახა უგულავა წარმოადგენს, შეიცავს ინფორმაციას საქართველოს შსს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში არსებული ვითარების შესახებ.

როგორც “24 საათისთვის” გახდა ცნობილი, მოხსენებაში საუბარია დარღვევებზე, რომლებმაც, მოხსენების ავტორ ექსპერტთა თქმით, მხოლოდ გასულ წელს ქვეყნის ბიუჯეტს 20-25 მილიონი ლარის შემოსავალი დაუკარგა.

საუბარია იმპორტირებული მანქანების განბაჟებისას, ეკოდიაგნოსტიკის სფეროში და ჯარიმების საკითხში დაშვებულ ქმედებებზე.

აღნიშნული საკითხი ერთადერთია განახლებული შემადგენლობით შეკრებილი საბჭოს დღევანდელ სხდომაზე და მოსალოდნელია, რომ მასზე სერიოზული საკადრო რეკომენდაციებიც გაკეთდება. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციებს, როგორც წესი, ოპერატიულად და ადეკვატურად ეხმაურება ხოლმე საქართველოს პრეზიდენტი, სავარაუდოდ, შეიძლება ითქვას, რომ საკადრო ცვლილებისთვის ნიადაგი უკვე მომზადებულია.

24 საათი

ოპეკ-მა მაღალი შემოსავლები შეინარჩუნა

ერაყის სანავთობო ინდუსტრიის აღდგენა გაჯანჯლდა. ეს კი, სავარაუდოდ, ოპეკ-ის (ნავთობის მწარმოებელ სახელმწიფოთა ორგანიზაცია) წევრ სახელმწიფოებს წარმოების მასშტაბების შემცირებას თავიდან აარიდებს. წლის დასაწყისში ანალიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ნავთობკარტელში კრიზისი დაიწყებოდა, რადგან ერაყული ნავთობის დიდი რაოდენობით ბაზარზე გამოტანა ფასებს მკვეთრად შეამცირებდა.

თუმცა, ნავთობის ბაზრის ექსპერტების თქმით, ბაზარზე ერაყული ნავთობის დიდი ოდენობით არარსებობა 11-წევრიანი ორგანიზაციისათვის დროებითი შვებაა, რომლებიც ნავთობზე მაღალი ფასების შენარჩუნებით უზარმაზარ შემოსავალს ნახულობენ.

ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებით დაკომპლექტებული ორგანიზაცია დღეს ვენაში ოპეკ-ის შტაბ-ბინაში შეიკრიბება, რათა მსოფლიო ბაზრებზე შექმნილი ვითარება განიხილონ და მომავალი სტრატეგია დაგეგმონ. ოპეკ-ის ყატარელმა პრეზიდენტმა აბდულა ალ-ატიაჰმა განაცხადა, რომ ამჟამინდელი წარმოების მოცულობის (25.4 მილიონი ბარელი დღეში) შეცვლის საჭიროება არ არსებობს.

“ოპეკი ძალზე კომფორტულად გრძნობს თავს და მის წევრებს კარგი შანსი აქვთ, რომ მიმდინარე წელს ყოველგვარ რადიკალურ ცვლილებებს თავი დააღწიონ,” - აღნიშნა “ჯეი პი მორგანის” ანალიტიკოსმა პოლ ჰორსნელმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

პანკისი საფრთხეს აღარ წარმოადგენს

საქართველო მზადაა პანკისის ხეობასთან დაკავშირებით აშშ-სთან და რუსეთთან თანამშრომლობის გასაგრძელებლად. საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, ქართველ სამართალდამცავთა ძალისხმევის ეფექტურობა, საქართველოს, რუსეთისა და აშშ-ს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა. **"შედეგი სახეზეა - ხეობა უკვე ადრინდელ საფრთხეს არ წარმოადგენს",** - თქვა მან.

საქართველო მომხრეა, რომ, **"ასეთი ერთობლივი ძალისხმევა გაგრძელდეს, რადგან, ვიდრე ჩეჩნეთის კონფლიქტი არ მოგვარდება, იარსებებს საშიშროება, რომ ხანძარი საქართველოს ტერიტორიასაც მოედება,"** - აცხადებს მინისტრი. **პრაიმ-ნიუსი**

სოციალისტები ბურჯანაძის წინააღმდეგ

საპარლამენტო ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარე ირაკლი მინდელი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს საარჩევნო კოდექსის პირველი მოსმენით კენჭისყრისას დეპუტატების შეცდომაში შეყვანაში ადანაშაულებს. მინდელის მტკიცებით, ბურჯანაძემ ახალი საარჩევნო კოდექსის პირველი მოსმენით მიღებისას, კენჭისყრაზე არა ცესკო-ს დაკომპლექტების ე.წ. ბეიკერისეული ვარიანტი, არამედ ფაქტობრივად სულ სხვა დოკუმენტი დააყენა. მისივე თქმით, პარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტში მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებაზეა საუბარი, მაშინ, როცა ჯეიმს ბეიკერის მიერ შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვით, 9+5+1 თანაფარდობით ყველა დონის საარჩევნო კომისია უნდა დაკომპლექტდეს. გარდა ამისა, მინდელის მტკიცებით, პარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტში არსად ჩანს, რომ ცესკო-ს თავმჯდომარე ეუთო-ს წარდგინებით პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს და ის, რომ კომისიები გადაწყვეტილებებს ხმათა ორი მესამედით იღებენ. **ინტერ-პრესი**

"გსეკ"-ს იმერეთსა და სამეგრელოში ხელი შეუშალეს

მაია ურუშაძე

"გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ) პოლიტიკა შეიცვალა. **"რეგიონების შეზღუდვის 12-საათიანმა გრაფიკებმა ის შედეგი არ მოიტანა, რასაც ველოდით. ახლა გადავწყვიტეთ, შეზღუდვები ფიდერების მიხედვით ვაწარმოოთ,"** - განაცხადეს "გსეკ"-ში. ეს დაწყვეტილება კომპანიაში მას შემდეგ მიიღეს, რაც იმერეთისა და სამეგრელოს ადმინისტრაციებმა ელექტროენერგიის დისტრიბუტორებს გამორთვების პოლიტიკის წარმართვაში ხელი შეუშალეს და "გსეკ"-ის ქვესადგურებში შეიჭრნენ.

შეგახსენებთ, რომ "გსეკ"-მა რეგიონებში მასობრივი გამორთვების პოლიტიკის წარმოება მას შემდეგ დაიწყო, რაც საბითუმო ბაზარმა მის წინააღმდეგ სანქციები აამოქმედა და მისი 70 პროცენტით შეზღუდვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ ეტაპზე კომპანიას საბითუმო ბაზრის 220 მილიონი ლარი მართებს.

კომპანიაში იმედოვნებენ, რომ გამორთვების ახალი რეჟიმი უფრო სამართლიანი იქნება. **"ამ შემთხვევაში, კარგი გადამხდელები ნაკლებად დაზარალდებიან,"** - აცხადებენ "გსეკ"-ში. ფიდერები მხოლოდ მაშინ გაითიშება, თუ გადახდის მაჩვენებელი 20 პროცენტზე ნაკლები იქნება. "გსეკ"-ის ინფორმაციით, ამჟამად ქუთაისში 64-დან 40 ფიდერი გათიშულია.

ერთი თვის შემდეგ ენერგოკომპანია მოახერხებს, კიდევ უფრო მიუახლოვდეს ურჩ გადამხდელებს და გამორთვები არა ფიდერების, არამედ უკვე ჯიხურების დონეზე აწარმოოს.

როგორც "გსეკ"-ის გენერალური დირექტორი დევიდ სორნტონი აცხადებს, "წყალკანალის" ობიექტების გამორთვის საკითხს, მიუხედავად წყალგაყვანილობის სისტემის დიდი დავალიანებისა, კომპანია ცალკე მსჯელობის საგნად აქცევს: **"ჩვენ გვესმის, რა მნიშვნელობა აქვს წყალმომარაგების ობიექტებს. ამიტომ მათ მიმართ კომპანიას განსაკუთრებული მიდგომა ექნება."**

არის ერთი სიახლეც: აგვისტოდან "გსეკ"-ის ფილიალები ცენტრალურ ოფისში ელექტროენერგიის საფასურს ბანკების მეშვეობით გადარიცხავენ, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ეს თანხები "გზაში არ დაიკარგება".

მორიგი აფეთქება თბილისში

გუშინ გამთენიისას თბილისში აფეთქება მოხდა. "თბილსერვისცენტრის" მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილების უფროსი კუკური გუნცაძე საკუთარი ავტოფარეხის წინ აფეთქდა. აფეთქების შედეგად მძიმედ დაშავებული 62 წლის გუნცაძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია გაუკეთეს.

წერეთლის N97-ის ეზოში მდებარე ავტოფარეხთან ასაფეთქებელი მოწყობილობა, სავარაუდოდ, წინასწარ იყო დამონტაჟებული. იგი იმ მომენტში აფეთქდა, როცა გუნცაძე ავტოფარეხში შედიოდა, თუმცა ავტომანქანა არ დაზიანებულა.

აფეთქების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურაში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. ვის სურდა "თბილსერვისცენტრის" განყოფილების უფროსის მოკვლა, ამაზე ჯერჯერობით გამოძიება ვერაფერს ამბობს. გუნცაძის ვინმესთან დაპირისპირებაზე ან მუქარაზე დაზარალებულის ოჯახის წევრებიც არ საუბრობენ. თავად გუნცაძის დაკითხვა კი გუშინ გვიანობამდე ვერ მოხერხდა.

სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლებელია აფეთქება გუნცაძის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდებოდეს, თუმცა პარალელურად გამოძიება არც "თბილსერვისცენტრის" განყოფილების უფროსის პირად ცხოვრებაში არსებულ დაპირისპირებას გამორიცხავს. მართალია, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ჰქონდა თუ არა გუნცაძეს კერძო ბიზნესი, მაგრამ უკვე დადგინდა, რომ "თბილსერვისცენტრთან" შექმნილი იყო რამდენიმე შპს.

ერთი სიტყვით, გამოძიება გრძელდება და მკვლელობის მცდელობის დეტალებიც, ალბათ, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. გამოძიება ჯერჯერობით ვერაფერს ამბობს ასაფეთქებელი ნივთიერების სახეობაზე, რომელზეც ექსპერტიზა დაინიშნა.

24 საათი

ვის სურს ექსპერტიზის ცენტრის დირექტორის თანამდებობა

რამდენიმე დღეა, რაც იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის დირექტორი მაია ნიკოლეიშვილი იუსტიციის მინისტრმა თანამდებობიდან გაათავისუფლა. მის ფუნქციებს ამჟამად იუსტიციის მინისტრის მოადგილე ირინა იმერლიშვილი ითავსებს.

თუმცა, ვიდრე ცენტრის დირექტორის თანამდებობა ვაკანტურია, მომავალი დირექტორის კანდიდატურის შესახებ უკვე ვრცელდება ჭორები. კერძოდ, ცენტრის დირექტორობის ერთ-ერთ კანდიდატად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილიც დასახელდა. სხვათა შორის, გავრცელებული ხმების, ნიკოლეიშვილი თანამდებობიდან სწორედ გიგლა აგულაშვილის გამო გაათავისუფლეს. ის, რომ ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე აგულაშვილი მოიაზრება, ამის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში თავად ყოფილმა დირექტორმა ნიკოლეიშვილმაც განაცხადა.

"ცენტრის დირექტორად აგულაშვილის დანიშვნას რომ აპირებდნენ, ამის შესახებ ჩემთვის ცნობილი ჯერ კიდევ მაშინ გახდა, როდესაც აგულაშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა და მის გადადგომას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. მე მხოლოდ ეს ვთქვი. ახლა კი ვინ უნდა დაინიშნოს, არაფერი ვიცი," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ცენტრის ყოფილმა დირექტორმა მაია ნიკოლეიშვილმა.

რაც შეეხება თავად გიგლა აგულაშვილს, მისთვის აღნიშნული ინფორმაცია ჩვენგან გახდა ცნობილი. **"ამ ბოლო ხანებში თბილისში არ ვიყავი, პირადი პრობლემები მაქვს და არც ქალაქში გავრცელებული ხმებია ჩემთვის ცნობილი. მე და მაია ნიკოლეიშვილს ნორმალური ურთიერთობა გვაქვს და არასოდეს ვყოფილვართ დაპირისპირებულნი. ის, რომ, თითქოს, ნიკოლეიშვილი თანამდებობიდან ჩემს გამო მოხსნეს, სრული სიცრუეა. დარწმუნებული ვარ, რომ მაიც ასევე ფიქრობს,"** – ამბობს გიგლა აგულაშვილი.

როდის ან ვინ დაინიშნება ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე, წინასწარ ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე გამოცხადებულია თავისუფალი კონკურსი და ნებისმიერ მსურველს შეუძლია საკუთარი კანდიდატურა წარადგინოს. მიუხედავად იმისა, რომ აგულაშვილი საკუთარ კანდიდატურას ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე ჯერჯერობით არ მოიაზრებს, ისეთი პროფესიონალის, როგორიც აგულაშვილია, აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნას საზოგადოებაში დადებითად აფასებენ. მით უმეტეს იმ დროს, როდესაც საუბარია ამერიკიდან ლაბარატორიის ჩამოტანაზე. აგულაშვილს კი, რეფორმატორული მოღვაწეობის გამო, უცხოელებთან საკმაოდ წარმატებული ურთიერთობა აქვს.

აზერბაიჯანში ჟურნალისტები დააპატიმრეს

აზერბაიჯანის პოლიციამ ქვეყნის წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ჟურნალისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელები დააპატიმრა. ეს მოხდა გაზეთ „ენი მუსავათის“ მთავარი რედაქტორის რაუფ არიფოღლის საცხოვრებელ სახლთან, სადაც ჟურნალისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ, რომლებიც არიფოღლის მისამართით აზერბაიჯანის სამთავრობო წრეების მიერ გამოთქმული მუქარით შეშფოთებულნი იყვნენ. რაუფ არიფოღლის გარდა, დაკავებულნი არიან პრესის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, საინფორმაციო სააგენტო „თურანის“ დირექტორი და სხვები. მათ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ბრალდება წაუყენეს. ჟურნალისტებმა მომხდარი ინციდენტი ინფორმაციის მასობრივ ოპოზიციურ საშუალებათა მიმართ „მორალურ ტერორად“ შეაფასეს, — იტყობინება „პანარმენიანი".

მედია-ნიუსი

შიმშილობის სასწაული

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

12 დღის განმავლობაში "მიყენებული ზარალის ანაზღაურებას" დროც ბევრი სჭირდება: გემრიელ საკვებს მონატრებული "ნაციონალები" მწუხარე სახით ეთანხმებიან ექიმების კატეგორიულ მოთხოვნას, რომ "ნორმალურად" ჭამა მხოლოდ ორი თვის შემდეგ დაიწყონ.

ამასთან, იკვეთება, რომ ყოფილი მოშიმშილეები ფიზიკურზე უფრო სწრაფად პოლიტიკურ "ფორმას" იბრუნებენ: 12-დღიანი "მარტვილობის" შემდეგ, თერაპიის ინსტიტუტში გუშინ გამართულმა მათმა პირველმა პრესკონფერენციამ საკმაოდ "მაღალ დონეზე" ჩაიარა.

"ჯერ არაფერი დამთავრებულა. ყველაფერი მხოლოდ ახლა იწყება," - საბრძოლო სულისკვეთებაშენარჩუნებული დავითაშვილის თქმით, პენსიების დარიგების გრაფიკი უკვე არსებობს და ერთი-ორ დღეში თანხების გადარიცხვა დაიწყება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პენსიონერებს "საფრთხე" აღარ ემუქრებათ: ზოგიერთი მოხელის ხელმრუდობის ამბავი "ნაციონალებს" კარგად მოეხსენებათ და ამიტომაც გამოდიან ინიციატივით, შეიქმნას დავალიანების დაფარვის მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც, მათი თანაპარტიელების გარდა, მასმედიის წარმომადგენლებიც შევლენ.

მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო დავალიანების დაფარვის თაობაზე უკვე არსებობს პრეზიდენტის განკარგულება და საპენსიო ფონდის ხელმძღვანელის შესაბამისი ბრძანება გაცემულია, საპროტესტო აქციის მონაწილე დეპუტატები ეჭვებისგან ბოლომდე მაინც ვერ გათავისუფლებულან.

"რამდენიც გინდათ, იმდენია პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც არ სრულდება," - აღნიშნავს აკაკი ბობოხიძე, თუმცა, მას ძალიან არ სურს, რომ შევარდნაძის მიერ შაბათს ხელმოწერილი განკარგულებაც ფარატინა ქაღალდად იქცეს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ნაციონალებმა" განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, რომელმაც მათ მიმართ მხარდაჭერა კონკრეტული საქმით გამოხატა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან სწორედ მისი შუამავლობის შედეგია, რომ საპროტესტო აქცია მოშიმშილეთა გამარჯვებით დასრულდა.

გიორგი ბასილაია. ფოტო

ათდღიანმა შიმშილობამ "ნაციონალებს" ხუმრობის ხალისი ვერ დაუკარგა.

მუდმივი დენი - ხალხს, გამანაწილებელი კომპანია - სახელმწიფოს

სოფიკო ოხანაშვილი

ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ენერგეტიკის სექტორის გასხვისება-განავების ბრალდებით, გენერალური პროკურორისგან პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძრას, აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან კი ენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტების გასხვისების არდაშვებას და ენერგოგამანაწილებელი კომპანიის სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნებას მოითხოვს. ნათელაშვილის განცხადებით, "თელასის" გასხვისებისთვის სამსჯავროს ვერც მოქალაქეთა კავშირის ყოფილი ლიდერები (საკაშვილი-ჟვანია), ქონების, ეკონომიკისა და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრები (მიხეილ უქლება, ვლადიმერ პაპავა, თემურ გიორგაძე) და თბილისის ახლანდელი მერი ვანო ზოდელავა გადაურჩებიან.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა გუშინ გამონაკლისი დაუშვა და საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა **"იმ ნაცარქექიაობას, რასაც პრეზიდენტის ორშაბათის ტრადიციული რადიოინტერვიუ ჰქვია".** ნათელაშვილის აღშფოთების მიზეზი პრეზიდენტის განცხადება გახდა, სადაც შევარდნაძემ "თელასის" შესაძლო მფლობელებად ქართველი **"მაფიოზა ბიზნესმენები"** მოიხსენია. ნათელაშვილმა ხელისუფლებასა და პრეზიდენტს დაფიქრებისაკენ მოუწოდა. **"საუბარია "ეი-ი-ეს"-ის რუსული ენერგოკომპანიით და ქართველი მაფიოზა ბიზნესმენებით ჩანაცვლებაზე. მართალია, პრეზიდენტს გვარები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ესენი, ალბათ, პატარკაციშვილები, ივანიშვილები და სხვები არიან. "თელასის" ხელში ჩაგდების უფლებას არც უცხოურ კომპანიებს მივცემთ და არც ქართველ მაფიოზა ბიზნესმენებს. "თელასი" მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრება უნდა იყოს",** – განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ. ნათელაშვილმა "თელასის" შესყიდვისგან რუსული ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობასაც თავის შეკავება ურჩია. **"იმ შემთხვევაში, თუ "რაო ეეს როსიი" "თელასის" შესყიდვას დააპირებს, მის წინააღმდეგ მაშინვე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. მას უფრო უარესი დაემართება ჩვენგან, რაც "ეი-ი-ეს" დაემართა",** - განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.

შევარდნაძისა და ნათელაშვილის განცხადებებს ბადრი პატარკაციშვილი გამოეხმაურა. მისი პრესმდივნის გუგა კვიტაშვილის თქმით, პატარკაციშვილმა ამის შესახებ მხოლოდ გუშინ შეიტყო. მისი განცხადებით, შესაძლოა, პატარკაციშვილი ამ წინადადებით დაინტერესდეს კიდეც, თუმცა კვიტაშვილი დარწმუნებულია, რომ პატარკაციშვილს არ სურს, ზამთრის ენერგოკრიზისის დროს მოსახლეობასთან ურთიერთობა გაიფუჭოს. ამასთანავე, პატარკაციშვილი ენერგოგამანაწილებელ კომპანიას წამგებიან ბიზნესად მიიჩნევს, სადაც არ სურს კაპიტალის დაბანდება. **"თელასი" მომგებიანი რომ ყოფილიყო, ამერიკული კომპანია მის გაყიდვას არ მოისურვებდა",** - ასეთია ბიზნესმენის პოზიცია, რომელიც მისმა წარმომადგენელმა გაახმოვანა.

ნათელაშვილმა "ეი-ი-ეს" არაკეთილსინდისიერი პარტნიორი უწოდა, 500 მილიონ ლარზე მეტ დავალიანებაში დაადანაშაულა და მთავრობას მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა მოსთხოვა. ჩვენზე ისაუბრა ორშაბათის რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა შევარდნაძემაც. მისი განცხადებით, "ეი-ი-ესი" პასუხისმგებელია "თბილსრესის" მეათე ენერგობლოკზე, რომელიც 2001 წლის ზამთარში მომხდარი ხანძრის გამო მწყობრიდან გამოვიდა. შევარდნაძემ იქვე ისიც დასძინა, რომ კომპანიამ არა თუ ვერ შეძლო პრობლემების გადაწყვეტა, არამედ თავადაც გაკოტრების პირასაა და ამიტომ, მისი წასვლა გარდუვალია.

შევარდნაძემ "ეი-ი-ესის" საქართველოდან შესაძლო წასვლის კომენტირებისას განაცხადა: **"ცივი გონებით უნდა განვსაჯოთ და თუ მოინახება კომპანია, რომელიც იყიდის "თელასის" გარკვეული რაოდენობით აქციებს და საკონტროლო პაკეტი საქართველოს დარჩება, კარგი იქნება".** მან იქვე ისიც დასძინა, რომ "თელასის" მიმართ, რომლის აქციათა 75 პროცენტის მფლობელიც ამჟამად, "ეი-ი-ესია", გარკვეულ ინტერესს გამოთქვამენ ქართველი ბიზნესმენები. "უკვე არის მოლაპარაკებები და რაღაც რესურსი გამოჩნდა საქართველოში", - განაცხადა პრეზიდენტმა.

ნათელაშვილი ენერგოგამანაწილებელი კომპანიის გასხვისების კატეგორიული წინააღმდეგია. იგი დაჟინებით მოითხოვს, რომ თელასი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა გადმოვიდეს. ჟურნალისტებს ნათელაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი დევიზთაგანი – **"მუდმივი დენი - ხალხს, ენერგოგამანაწილებელი კომპანია - სახელმწიფოს".** ნათელაშვილმა მოვლენებს ოდნავ წინ გაუსწრო, თავი უკვე საპარლამენტო უმრავლესობაში წარმოიდგინა და ენერგეტიკული ობიექტების მფლობელებს შეძენილი სტრატეგიული ობიექტების ჩამორთმევით, პასუხისმგებლობაში მიცემით და "გაკულაკებითაც" დაემუქრა.

„მე პესიმისტური ოპტიმისტი ვარ"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დეპარტამენტის თავმჯდომარესა და სახელმწიფო მინისტრს სამთამადნო საქმისა და მინერალური რესურსების მართვაში საერთაშორისო მრჩეველიც დაენიშნათ – იაპონელი დოქტორი ნიშიკავა. ის და თვალჭრელიძე, უკვე ორი წელიწადია, მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს მინერალური რესურსების ვებგვერდის შესაქმნელად.

მაინც, რა სწადია თვალჭრელიძესა და მის გუნდს? დარგის მართვის მთლიანად შეცვლა, რისთვისაც ხუთი ძირითადი ამოცანის შესრულება განუზრახავთ. უპირველესად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გეოლოგიური ინფორმაციის მართვას. კერძოდ, სახელმწიფო გეოლოგიური რუკებისა და სპეციალური (ტექტონიკური, სიღრმული აგებულების, სეისმური დარაიონებისა თუ ჰიდროგეოლოგიური) რუკების შედგენა, განახლება, მართვა და გამოცემა არის დაგეგმილი. ხოლო გეოლოგიური საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება ითვალისწინებს ელექტრონული მრავალსაფეხურიანი ინფრასტრუქტურის შექმნას GIS სისტემების მეშვეობით. ასე აპირებენ გეოლოგიური სამსახურების ერთიანი საინფორმაციო ქსელის შექმნას და სხვა უწყებებთან თუ ქვეყნებთან ინფორმაციის გაცვლას. როგორც ალექსანდრე თვალჭრელიძე აცხადებს, ეს მთლიანად დონორების დახმარებით განხორციელებული პროექტია, რომელიც ბიუჯეტიდან ერთ თეთრსაც არ მოიხმარს. **"დღეს გეოლოგიური ფონდი მოიცავს 30 ათას დოკუმენტს, რომელთა ღირებულება შეუფასებელია. არადა, ამ ინფორმაციის ნაწილი სახელმწიფო უსაფრთხოების მნიშვნელოვან მდგენელს წარმოადგენს, ხოლო ნაწილი - სარფიანი წარმოების აუცილებელ მზა ბაზისს,"** – თქვა ფონდის თავმჯდომარემ ირაკლი კალანდარიშვილმა. თვალჭრელიძეს მიაჩნია, რომ უპირველესად ამ და სხვა გეოლოგიური ინფორმაციით სარგებლობის მკაფიო და მკაცრი წესებია დასადგენი: **"საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობა 1918 წელს ამ დარგით და, პირველ ყოვლისა, ზუსტი რესურსული ინფორმაციის შეგროვებით დაიწყო. ახლა კი ეს კაპიტალი ან ნიავდება, ან გამოუყენებელია – ორივე ვარიანტი დაუშვებელია."**

გეოლოგიის დეპარტამენტი საკუთარ თავზე აიღებს გეოდინამიკური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას შესაბამის სამხედრო თუ საგანგებო სტრუქტურებთან ერთად. **"თბილისის შარშანდელი მიწისძვრა მწარე და თვალსაჩინო გაკვეთილია, თუ რაოდენ უსუსურია სახელმწიფო ასეთ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში,"** – თქვა ალექსანდრე თვალჭრელიძემ. კიდევ ერთ მაგალითად მან ბორჯომის ხეობის სოფელი დრვალი დაასახელა, რომელიც მეწყრულ ზონაშია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მომავალი ნავთობსადენის სადავო ცხრაწყაროს მონაკვეთში. ამა წლის მაისში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, აკაკი ზოიძის თავმჯდომარეობით შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელმაც ამ სოფლისა და მისი ბინადრების ბედი უნდა გადაწყვიტოს. **"ვითარება ისეთია, რომ დრო მხოლოდ ზამთრამდე გვაქვს, თორემ მერე იქ ცხოვრება სახიფათოა. მაგრამ, თუკი იქნება გეოდინამიკური უსაფრთხოების ჩამოყალიბებული სისტემა, ასეთი საგანგებო კომისიების შექმნა აღარ დაგვჭირდება,"** – განმარტა დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

მივადექით ყველაზე საინტერესოს. გეოლოგიის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობა არასაბიუჯეტო კანონიერ დიდ შემოსავლებს გეგმავს. **"თუ ჩვენს გეგმას განვახორციელებთ, სამ წელიწადში გეოლოგები კანონიერად გამდიდრდებიან და ამით იამაყებენ,"** – დარწმუნებულია თვალჭრელიძე. რესურსული ფონდის მართვის პრიორიტეტი გულისხმობს საკანონმდებლო ბაზის მკვეთრ ლიბერალიზაციას, მინერალური რესურსების სახელმწიფო სარეზერვო ფონდის სრულყოფასა და მის მართვას, გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირებასა და კონტროლს, მინერალური რესურსების კაპიტალიზაციას (შეფასებას) და მათ ჩართვას საფონდო ბირჟის ფულად ნაკადის ბრუნვაში. **"გვინდა, რომ მოქალაქესაც და სახელმწიფოსაც ჰქონდეს შემოსავლის ოფიციალური წყარო. მაგალითად, დღეს ადამიანს შეუძლია იყიდოს მინის ნაკვეთი, მაგრამ ის განკარგავს მხოლოდ 20 სანტიმეტრის საფარს, იქ გამავალი სარწყავი რუც კი, ოფიციალურად, სახელმწიფოსია. ბუნებრივია, ეს არ არის ნორმალური ვითარება,"** – დარწმუნებულია ახალი თავკაცი. ამას დაემატება საინვესტიციო პაკეტების შექმნის ფუნქცია, **"რათა დარგი მინიმალურად იყოს დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე".**

ვახო გასვლის ფოტო

ალექსანდრე თვალჭრელიძე გეოლოგებს გამდიდრებას ჰპირდება.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მონაცემებით, 1989 წელს სამთამადნო საქმიანობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (შშპ) 10 პროცენტი იყო, ხოლო 2001 წელს - მხოლოდ 0,5 პროცენტი. თვალჭრელიძის შეფასებით, ნორმალურ ვითარებაში საქართველოსთვის ეს 5 პროცენტიც ფარგლებში უნდა იყოს, თუმცა რეფორმის დროს შეიძლება 15 პროცენტამდეც ავიდეს. გეოლოგები აცხადებენ, რომ დღეს სახელმწიფო ბიუჯეტში დარგისათვის საჭირო თანხის მხოლოდ 10 პროცენტს თუ ითვალისწინებს და ისიც ქაღალდზე რჩება. თვალჭრელიძე არასაბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრად გაზრდასა და საბიუჯეტო დაფინანსების ორ პროცენტამდე დაყვანას ვარაუდობს. ეს ყველაფერი რესურსების კატეგორიებად დაყოფის, გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირების გაიოლებისა და კერძო მოსარგებლეების რაოდენობის სწრაფი გაზრდით წარმოუდგენია, რაც რესურსების კაპიტალიზაციას უნდა მოყვეს. წიაღისა და სამთამადნო საქმის კოდექსის შემმუშავებელი კომისია უკვე შექმნილია და სექტემბერში განსახილველ ვარიანტს უკვე წარადგენს. წინასაარჩევნო პერიოდში კი ასეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ სპეციფიური კანონის კრიტიკულად დამუშავებისათვის ხელისუფლების არც ერთ შტოს არ ეცლება და თვალჭრელიძის კონცეფციას ან ძალიან მალე მიიღებენ, ან მომავალი წლის გაზაფხულამდე დაამუხრუჭებენ. ყველაზე რთული პოზიცია ერთიანი სალიცენზიო, მარეგულირებელი სამსახურის შექმნა იქნება. ახლა სხვადასხვა რესურსებს სხვადასხვა უწყებები განაგებენ და ამით უკმაყოფილოები ნამდვილად არ არიან. დათმობა კი ძალიან გაუჭირდებათ. თავის მხრივ, გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ძალიან გაუჭირდება უთავბოლოდ დანაივებული და ფარული გარიგებებით გასხვისებული საკუთარი ქონების მართვის მოწესრიგება. ის ძვირადღირებული და შემოსავლიანი უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც გეოლოგიურ სამსახურს გააჩნდა, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ, მაგრამ ერთი-ორი კერძო პირის რეალურ მფლობელობაში მყოფ სააქციო საზოგადოებებშია გაბნეული. ჯერ მხოლოდ იმედისმომცემი განცხადება გააკეთა ალექსანდრე თვალჭრელიძემ: **"დარგში არსებული მთელი ინფორმაცია იქნება მკაცრად რეგლამენტირებული, მაგრამ საქმიანობა - აბსოლუტურად გამჭვირვალე."** ამ სიტყვის საქმედ ქცევას დიდი ხნის ლოდინი არ უნდა სჭირდებოდეს.

ორი სიტყვით

თბილისი. რუსეთისა და აფხაზეთის კომერციული სტრუქტურების ერთობლივი დაფინანსებით საზაფხულო სეზონის დასრულებამდე სასეირნო კატერები ტურისტებს სოჭიდან გაგრაში, ახალ ათონში და უკან ყოველდღიურად 30 რუსულ რუბლად გადაიყვანენ. შეთანხმებას სოჭსა და აფხაზეთს შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენის შესახებ რუსულმა და აფხაზურმა მხარეებმა სოჭში 27 მაისს მიაღწიეს. **ინტერ-პრესი**

თბილისი. ოფიციალური სოხუმი არ აპირებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა დაშვებას გუდაუთაში, რათა მათ სამხედრო ბაზის დახურვის შესახებ რუსეთის მიერ ეუთო-ს 1999 წლის სტამბულის სამიტზე ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეამოწმონ. ამასთან, სოხუმი გუდაუთაში საერთაშორისო ინსპექტორების დაშვებას განიხილავს, თუ ეუთო ამ საკითხს დასვამს. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე უახლოეს ხანში ადგილობრივ პარლამენტს აჭარის გარდამავალ მთავრობას წარუდგენს.

სწორედ მისი მუშაობის შედეგების მიხედვით გადაწყდება ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტების საკითხი და შეირჩევა ახალი კადრები. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე ორი ახალი საგუშაგო გაიხსნა. პირველი ჩეჩნეთის მონაკვეთზე, თუშეთში, სოფელ ჭეშში ამოქმედდა, მეორე კი - რაჭაში, მამისონის უღელტეხილზე, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთს ესაზღვრება. **მედია-ნიუსი**

თბილისი. აბაშის რაიონის გამგებელი სოსო ჭანტურია საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება, იგი აბაშის მაჟორიტარობას "მრეწველთა" მხარდაჭერით აპირებს. **ექსპრესი**

თბილისი. პარლამენტარი ივერი ჭელიძე მესტიის რაიონის მაჟორიტარობისთვის ემზადება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას მხარს უჭერს პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი და მის მიერ კონტროლირებადი სვანეთის 300-კაციანი ბატალიონი. **ექსპრესი.**

თბილისი. ბუქარესტში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ და მისმა რუმინელმა კოლეგამ მირჩა პაშკუმ ხელი მოწერეს შეთანხმებას, გაცვლილი სამხედრო საიდუმლოებების დაცვის შესახებ. **მედია-ნიუსი**

თბილისი. გერმანიის ფედერალური საზღვრის დაცვის სამსახურის ინსპექტორი უდო ბურკჰოლდერი სამშაბათს ოფიციალურად წარადგენს სასაზღვრო-პოლიციურ სფეროში გერმანიის საელჩოს თბილისში მეკავშირე თანამშრომელს ნორბერტ იაკატს. სასაზღვრო-პოლიციურ სფეროში მეკავშირე მოხელის საქმიანობა ემსახურება საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან კონტაქტების შემდგომ გაღრმავებას. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. ქართული სამშვიდობო ასეული ერაყში გასამგზავრებლად მზად არის. დაჯგუფება თავდაცვის სამინისტროს პროფესიონალი კადრებითაა დაკომპლექტებული. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. წინასწარ პატიმრობაში მყოფმა გივი რუხაიამ და ზაალ ჩხეიძემ თბილისის მე-5 საპყრობილეში პირი ამოიკერეს და შიმშილობა გამოაცხადეს. როგორც გივი რუხაიას მეუღლემ ლია აბალაკმა განაცხადა, გივი რუხაია და ზაალ ჩხეიძე ორი თვის წინ მთაწმინდა-კრწანისის პოლიციამ ტაქსის მძღოლის დაყაჩაღების ბრალდებით დააკავა, თუმცა არც რუხაია და არც ჩხეიძე იმ დღეს, როდესაც დანაშაული მოხდა, თბილისში არ იმყოფებოდნენ. აბალაკის ინფორმაციით, გამოძიება დარღვევებით ჩატარდა. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე უზენაესი სასამართლოს წევრები შვებულებაში გავლენ. აგვისტოს თვეში მართლმსაჯულების უმაღ

სახელმწიფომ 137 მილიონიანი ვალის გასტუმრება ქონებითა და აქციებით დაიწყო

სოფიკო ოხანაშვილი

ვახო ბესელიას ფოტო

გიორგი გაჩეჩილაძე ვალებს ნატურით ისტუმრებს.

დაუმთავრებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრების მიმართ არსებული სახელმწიფო შიდა ვალის დასაფარად, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, საკომპენსაციო თანხების გაცემის ნაცვლად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი ფორმით გაცემის წესი აამოქმედა. ეს სახელმწიფო ქონების პირდაპირი გადაცემის პირველი პრეცედენტია. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის წინადადებების საფუძველზე, უახლოეს მომავალში 17 ოჯახი, დაახლოებით, მილიონი ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონებას მიიღებს. აქედან 12 ოჯახი მიიღებს საწარმოთა აქციების ნილს, დანარჩენებს მათ მიმართ არსებული დავალიანების ღირებულების უძრავი ქონება გადაეცემათ. ამ მიზნით ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციასთან თანამშრომლობით რამდენიმე ობიექტი მოამზადა.

მას შემდეგ, რაც ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ქონების პრივატიზების ფუნქცია დაემატა, სამინისტრომ კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტები წარადგინა, რომელთა საფუძველზეც შპს "საქგაზპროექტის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა 100 პროცენტი, სააქციო საზოგადოება "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" აქციათა 15 პროცენტი, აგრეთვე თბილისში, გამსახურდიას გამზირის N31-ბ-ში მდებარე ნახევარსარდაფი და შ.პ.ს. "თბილწყალკანალის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული, ქალაქ მცხეთაში, სამხედრო ქუჩის N40-ში მდებარე არაგვის ხეობის წყალსადენების გაერთიანების ორსართულიანი ამორტიზებული შენობა კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებს გადაეცა.

ეკონომიკის მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, ორი კვირის განმავლობაში გაფორმდება ხელშეკრულებები, რომლის მეშვეობითაც 17 ოჯახს სახელმწიფოს ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემათ. გაჩეჩილაძის თქმით, სამინისტრო კვლავ განაგრძობს საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციასთან აქტიურ თანამშრომლობას და სახელმწიფო ვალის დაფარვის პროცესსაც. მინისტრი, ჯერჯერობით, კონკრეტულ რიცხვებზე არ საუბრობს, თუმცა დარწმუნებულია, რომ დავალიანებაგასტუმრებულ ოჯახთა რიცხვი წლის ბოლომდე აუცილებლად გაიზრდება. გაჩეჩილაძის ინფორმაციით, ოქტომბერში ბინათმშენებლობის წევრებს თბილისში ორი 14-სართულიანი საცხოვრებელი სახლი გადაეცემათ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დავალიანების სახელმწიფო ქონებით დაფარვაზე უარი განაცხადეს მუნიციპალურ საწარმო "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლებმა. მათ მიმართ არსებულ დავალიანებას სახელმწიფო მხოლოდ ფულადი კომპენსაციის სახით იხდის.

წელს თბილისის ბიუჯეტში ვალის დასაფარად 600.000 ლარია გათვალისწინებული, აქედან დაახლოებით 260 ათასი ლარი უკვე გაცემულია. დავალიანების ფულადი კომპენსაციის სახით გასტუმრება 1999 წლიდან დაიწყო. ხუთი წლის განმავლობაში მთლიანად გადახდილმა თანხამ 1,5 მილიონი ლარი შეადგინა. შეგახსენებთ, რომ 1992 წელს კოოპერატიული ბინათმშენებლობის შეჩერებისა და 1995 წელს ამ პროცესის დაუმთავრებლობის გამო, სახელმწიფომ 1997 წელს ბინათმშენებლობაში გაერთიანებული წევრების მიმართ დაგროვილი 137 მლნ. ლარი შიდა ვალად აღიარა და 8500 ოჯახის მოვალეც გახდა.

ხორბლის იმპორტზე საბაჟო გადასახადი გაუქმდება

სოფო კვინტრაძე

ვახო ბესელიას ფოტო

დავით კირვალიძე პურის გაიაფებასა და ხორბლის მარაგის შევსებაში დარწმუნებულია.

ხორბლის დაბეგვრის ახალი რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრთან საგანგებო თათბირი გაიმართა, რომელსაც ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრების გარდა, პურის მწარმოებლებიც ესწრებოდნენ. როგორც შეხვედრიდან გამოსული მირიან გოგიაშვილი აცხადებს, ფინანსთა სამინისტრო თანახმაა, ცვლილებები შეიტანოს საბაჟო და საგადასახადო კოდექსებში, რომლის თანახმადაც ხორბლის იმპორტზე დაწესებული 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადი გაუქმდება.

საქართველოს ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან გაფორმებული აქვს სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ამ ქვეყნებიდან შემოსული ხორბალი 12-პროცენტიანი გადასახადით არ იბეგრება. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, სხვა ნებისმიერი ქვეყნის მიმართაც იგივე რეჟიმი ამოქმედდება. სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით კირვალიძის თქმით, საბაჟო გადასახადის გაუქმება ქვეყანაში ხორბლის იმპორტს 15-დან 20 პროცენტამდე გაზრდის. კირვალიძეს მიაჩნია, რომ საბაჟო კოდექსში ცვლილებები პურის ბაზარზე წარმოქნილ პრობლემებს დაარეგულირებს, კერძოდ, შეამცირებს პურის ფასს და გაზრდის ქვეყანაში ფქვილის მარაგს. სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ პურის ფასი მხოლოდ იმ მწარმოებლებმა გაზარდეს, რომლებიც პროდუქციას კონტრაბანდული ფქვილით აწარმოებდნენ. რადგან ქვეყანაში ხორბლის კონტრაბანდა მნიშვნელოვნად შემცირდა, შესაბამისად, პურის ფასმაც მოიმატა. რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ ფქვილის მარაგს, კირვალიძის თქმით, **"როგორ შეიძლება მარაგის ამონურვაზე ვილაპარაკოთ, როცა სწორედ ახლა მიმდინარეობს ხორბლის მოსავლის აღება."**

სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი უსაფუძვლოდ მიიჩნევს პრეზიდენტის ბრალდებებს იმის თაობაზე, რომ თითქოსდა იგი დაკისრებულ მოვალეობებს ვერ ასრულებს. კირვალიძეს მიაჩნია, რომ მისი გადაყენების მოთხოვნა, რომელიც სახელისუფლო ბლოკის წარმომადგენელმა ირაკლი გოგავამ დააყენა, მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშსწორების მცდელობაა.

შევარდნაძე "თელასის" ყიდვას ქართველ ბიზნესმენებს შესთავაზებს

ვირველი გვერდიდან

მეორე მხრივ კი, ედუარდ შევარდნაძე, ფაქტობრივად, ინიციატორის დაუსახელებლად, გამოეხმაურა გასულ კვირას ზურაბ ჟვანიას მიერ წამოწეულ თემას "თელასის" აქციების ქართველების მიერ გამოსყიდვის შესახებ.

პრეზიდენტი აცხადებს, რომ კომპანია "თელასის" მიმართ, რომლის აქციათა 75 პროცენტის მფლობელიც ამჟამად ამერიკული კორპორაცია "AES"-ია, გარკვეულ ინტერესს ქართველი ბიზნესმენები გამოთქვამენ. შევარდნაძემ არ ისურვა ამ ბიზნესმენთა ვინაობის გამხელა, თუმცა მან განაცხადა, რომ უნდა მოიძებნოს საქართველოში ის კომპანიები, რომლებიც თელასის 25 პროცენტის მფლობელ თბილისის მერიასთან ერთად იყიდიან "AES" -ის კუთვნილი აქციების რაღაც პროცენტს და მაშინ, საკონტროლო პაკეტი საქართველოს ხელში გადმოვა.

"უკვე არის მოლაპარაკებები და რაღაც რესურსი გამოჩნდა საქართველოში," - თქვა მან და ბრიფინგზე მინიშნება პატარკაციშვილზეც გააკეთა. სახელისუფლებო წრეებში კი არ გამორიცხავენ, რომ მსგავსი შეთავაზება ქართულმა მხარემ, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილის მისამართითაც გააკეთოს, თუმცა დაზუსტებით დღეს ამაზე არავინ საუბრობს. პრეზიდენტის მიერ პატარკაციშვილის ხსენება ამ კონტექსტში იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ედუარდ შევარდნაძე ამერიკული და რუსული ენერგოკომპანიების შესაძლო გარიგებიდან გამომდინარე მოსალოდნელ საფრთხეს აცნობიერებს.

საინტერესოა, რომ გუშინ შევარდნაძე სასამართლოთიც დაიმუქრა: **"AES"-მა რაღაც უნდა ჰკითხოს ქართულ მხარეს აუცილებლად, რადგან საქართველოს მონაწილეობის გარეშე არ შეიძლება გადაწყვეტილების მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შესაძლოა, სასამართლოს განხილვის საგანი გახდეს,"** - თქვა მან.

ამასთან, მან ამერიკულ კომპანიას საყვედურებიც დააყარა: **"AES" პასუხისმგებელია სს "თბილსრესის" მე-10 ენერგობლოკზე, რომელიც 2001 წლის ზამთარში მომხდარი ხანძრის გამო მწყობრიდან გამოვიდა. მე-10 ენერგობლოკის აშენება გერმანელების მიერ 300 მილიონი დოლარი დაჯდა,"** - თქვა მან.

"AES თელასმა" არათუ ვერ შესძლო მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემის გადაწყვეტა, თავადაც გაკოტრების პირასაა," – დაასკვნა მან.

შევარდნაძე "ბეიკერის ვარიანტის" დამტკიცებას მიღწევად მიიჩნევს

ამ დღეებში პარლამენტს მეორე და მესამე მოსმენით მოუწევს მსჯელობა ე.წ. ბეიკერის ვარიანტზე. სახელისუფლებო ბლოკის ცალკეულმა წარმომადგენლებმა უკვე დააფიქსირეს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია, მაგრამ თავად შევარდნაძე კატეგორიულად აცხადებს, რომ ამ ვარიანტის დამტკიცება ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდი მიღწევაა.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტს კომენტარი არ გაუკეთებია "ბეიკერის ვარიანტის" დამტკიცების დროს სახელისუფლებო ძალების მიერ არაერთგვაროვანი პოზიციის დაფიქსირების მოტივებსა და მიზეზებზე. სამაგიეროდ, ოპოზიციაში არსებული წინააღმდეგობა მისი ინტერესის მიღმა არ დარჩენილა: პრეზიდენტმა გუშინ იმედი გამოთქვა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების თაობაზე ოპოზიცია, რომელიც აღნიშნულ საკითხში ერთიანი არ არის, "ბეიკერის ფორმულის" მეორე და მესამე მოსმენით კენჭისყრისას კომპრომისს მიაღწევს.

მან ასევე კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად უთანხმოებისა და ცხარე დისკუსიებისა, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები იმ პრინციპების შესაბამისად ჩატარდება, რომელსაც საქართველოს კეთილისმსურველი მეგობრები სთავაზობდნენ.

"ე.წ. ბეიკერის ფორმულა ფართო კომპრომისის საფუძველი გახდა, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ შეძლო არჩევნების სამართლიანად ჩატარების პრინციპის შემუშავება," - განაცხადა მან და ისიც თქვა, რომ შევარდნაძის თანხმობამ ამ ვარიანტზე თავად ჯეიმს ბეიკერიც გააკვირვა.

"საქართველოს მთავრობამ თავისი პირობა შეასრულა," - განაცხადა შევარდნაძემ, რომელიც დარწმუნებულია, რომ **"აღნიშნული ფორმულა მოსახლეობაში ნდობას დანერგავს, რადგან არჩევნები მართლაც სამართლიანად და ობიექტურად ჩატარდება."**

პენსიების გასტუმრება იწყება...

ედუარდ შევარდნაძე გუშინ "ნაციონალების" შიმშილობის აქციის შედეგებსაც გამოეხმაურა, უფრო კონკრეტულად კი, განაცხადა, რომ **"მიმდინარე საპენსიო დავალიანებების დაფარვის პროცესი დაწყებულია. გათვალისწინებულია ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილებებიც პენსიების გაცემასთან დაკავშირებით."**

ამასთან, შევარდნაძის განცხადებით, წინა წლებში დაგროვილი დავალიანების გასტუმრების სქემებთან დაკავშირებით, პენსიონერებს თავად ექნებათ არჩევანის გაკეთების საშუალება, მათ შორის იქნება სახელმწიფო ვალდებულებების გაცემა - ფასიანი ქაღალდების, ობლიგაციების სახით.

"ყველა გათვლის მიხედვით, სრულიად უსაფუძვლოა მოსაზრება, რომ პენსიონერები ვერ შეძლებენ ობლიგაციების განაღდებას," - თქვა პრეზიდენტმა.

შევარდნაძე პუტინს წერილს უგზავნის და პასუხს არ ელოდება

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ დაადასტურა, რომ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს მართლაც გაუგზავნა წერილი, სადაც გაკრიტიკებულია რუსეთის პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტის თქმით, განცხადებები იმის თაობაზე, რომ ეს წერილი ადრესატამდე არ მისულა და იგი დაიკარგა (ასეთ განცხადებებს რუსული მხარე ავრცელებდა), სინამდვილეს არ შეეფერება.

მისი თქმით, წერილი პუტინმა ნამდვილად მიიღო, თუმცა ედუარდ შევარდნაძე პასუხს არც ელოდებოდა, რადგან უახლოეს მომავალში ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა უნდა გაიმართოს.

პრეზიდენტი გუშინ ისევ აცხადებდა, რომ მდგომარეობა უიმედო არაა, რასაც გასულ კვირას ჟენევაში გამართული მრავალმხრივი შეხვედრაც მოწმობს.

დავით კირვალიძის საკითხი გადაწყვეტილია?

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის საკითხი ორ დღეში გადაწყდება. **"არსებობს მთელი რიგი მონაცემები და მასალები, რომლებიც კირვალიძის სასარგებლოდ არ მეტყველებს,"** – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ გუშინდელ ბრიფინგზე, რითიც ცხადყო, რომ გადაწყვეტილება, პრაქტიკულად, მიღებულია.

ოფიციალური ვერსიით, ეს მასალები ოთხშაბათს დაგეგმილ მთავრობის სხდომაზე განიხილება და **"ღმერთმა ქნას, ბევრი რამ არ დადასტურდეს"**, თუმცა შევარდნაძემ იქვე დასძინა: კირვალიძეს ნამდვილად არ ეპატიება ის ფაქტი, რომ პრეზიდენტს დაუმალა, არასწორი და არაზუსტი ინფორმაცია მიაწოდა ქვეყანაში პურის ფასებისა და არსებული პურის მარაგის რაციონალურად გამოყენების თაობაზე.

მისივე თქმით, კირვალიძე კარგი სპეციალისტია, მაგრამ ხელმძღვანელი პირისათვის დამახასიათებელი მთავარი მოთხოვნა - **"სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის შეგრძნება აკლია".**



მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოვა

ვირველი გვერდიდან

ბესო ბელეულიძის ფოტო

"გაზპრომის" ხელმძღვანელი მილერი, ნიკოლეიშვილის და მირცხულავას იმედით, წარმატებული დარწმუნებული ჩამოვიდა.

რა ადგილი უჭირავს ამ გეგმაში საქართველოს, რაში მდგომარეობს ის საფრთხეები, რომელიც მომდინარეობს რუსეთიდან და რა როლი მიუძღვის ჩვენს ხელისუფლებას მის განხორციელებაში? ეს არის კითხვები, რომლებიც, ვფიქრობ, საქართველოს ყველა მოქალაქეს აწუხებს და რომელზეც პასუხები უახლოეს მომავალში თუ არ გაიცა, სულ მალე კანცელარიასა და პარლამენტში საბჭოთა კავშირის ჰიმნი აჟღერდება.

რუსეთის პირდაპირი ჩარევით დაკარგული ტერიტორიები, ჩადებული "ნაღმები" საქართველოს სხვა რეგიონებში, მუდმივი დადანაშაულება ტერორიზმისთვის ხელშეწყობაში, იარაღის ჟღარუნი, სავიზო რეჟიმის შემოღება, დასავლური კაპიტალისთვის მიუღებელი საინვესტიციო გარემოს შექმნა და ყველაფერი ეს გამრავლებული ჩვენი ხელისუფლების უუნარობაზე (კარგ შემთხვევაში), სამხედრო ენაზე რომ ვთქვათ, არის მხოლოდ საარტილერიო მომზადება, უშიშროების სამსახურში დაწერილი ოკუპაციის გეგმის დასკვნითი ფაზის განსახორციელებლად, რომელიც უკვე დაიწყო და ძალიან მალე დასრულდება, თუ საქართველოში არ შეიცვალა ხელისუფლება ან მიდგომები ქვეყნის მშენებლობის პრინციპებისადმი.

ბოლო 10-12 წლის განმავლობაში რუსეთთან საქართველო ცივი ომის მდგომარეობაშია. მიუხედავად ამისა, ჩრდილოელი მეზობლის ეკონომიკურ ინტერესებს, გარდა თითოზე ჩამოსათვლელი პოლიტიკოსებისა, ყველა და უპირველეს ყოვლისა ხელისუფლება აფასებს, როგორც ბიზნესს, ინვესტიციებს, რომლის გარეშეც ქვეყანა დაიღუპება. იმისათვის, რომ გადავიტანოთ ერთი ზამთარი, თურმე აუცილებელია, რომ "გაზპრომთან" ხელი მოვაწეროთ 25 წლიან ხელშეკრულებას სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ, რითაც ეჭვქვეშ ვაყენებთ შაჰდენიზის გაზის ტრანსპორტირების პროექტს. ყველა ბერკეტი ავამოქმედეთ იმისათვის, რომ "ეი-ი-ეს თელასისთვის" მუშაობის გაუსაძლისი პირობები შეგვექმნა და ახლა ამერიკელებს კი არა, როგორც ამას გვიმტკიცებს ენერგეტიკის მინისტრი, არამედ ჩვენ შემოგვყავს "რაო ეესი", რომელსაც თავისი შიგა პრობლემებისთვის ვერ მოუვლია და ზამთარში ნახევარი რუსეთი სიცივისგან ეყინება. "ეი-ი-ეს"-ის წასვლით რუსეთის უშიშროების სამსახური ორ კურდღელს იჭერს: პირველი - ის ხელში იგდებს ელექტროენერგეტიკის უმთავრეს ბერკეტს, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოში ნებისმიერი მისთვის არასასურველი ორიენტაციის ხელისუფლების მოსვლის პირობებშიც კი, შეუძლია სოციალური მღელვარების ინსპირირება და მეორე - "ეი-ი-ეს"-ის წასვლის შემდეგ არც ერთი სერიოზული დასავლური კომპანია საქართველოსკენ აღარ გამოიხედავს და რუსეთი შეძლებს წყნარად, აუჩქარებლად, "პირდაპირი მიყიდვის წესით" კაპიკებში ჩაიყიდოს მთელი ეკონომიკა. ნურავის დაავიწყდება, რომ "გაზპრომი", "რაო ეესი", "ლუკოილი" სწორედ ის კომპანიებია, რომელთა ხელითაც კრემლმა რუსეთში თავისუფალი მასმედია გაანადგურა.

პრეზიდენტმა პუტინმა სულ ცოტა ხნის წინ ენერგეტიკა გამოაცხადა პოლიტიკურ ინსტრუმენტად და, ამის შემდეგ, პირველად "ენერგეტიკული იარაღი" გამოყენებულ იქნა საქართველოზე. შემდეგი დარტყმები განხორციელდება (და ეს პროცესიც დაწყებულია) ტელესაკომუნიკაციო სისტემებსა და პორტებზე, რითიც, ფაქტობრივად, დასრულდება ფსბ-ში დაწერილი საქართველოს ოკუპაციის გეგმა. ეკონომიკის დანარჩენი სექტორების ხელში ჩაგდება უკვე ტექნიკის საქმეა.

როდესაც საუბარია ამ თემებზე, პოლიტიკოსები ხშირად ამბობენ, რომ აშშ ამ გეგმის განხორციელებას არ დაუშვებს, რაც, ცოტა არ იყოს, საკითხისადმი მიამიტ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. მოვიყვან მხოლოდ ერთ არგუმენტს: ხალხი, რომელზეც დღეს არის დამოკიდებული საქართველოს მხრიდან ამგვარ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა, თავისი მენტალიტეტით, აბსოლუტურად მიუღებელნი და ხშირად კრიმინალურიც არიან აშშ-სათვის. თვითგადარჩენის ინსტინქტი მათ უბიძგებს რუსეთისაკენ და არაფრად დაგიდევენ არც დასავლეთის და არც საქართველოს ინტერესებს. კორუფციის ჩიხში მომწყვდეულებს მხოლოდ ჩრდილოეთიდან ამომავალი მზე ათბობთ.

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

„კორუფცია" ნიშნავს „საქართველოს"?!

ირაკლი კირცხალია

23-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე

ჩემი აზრით, ჩემს ქვეყანაში **სამართალი** არ არსებობს. თითქოს, მთავრობის 90 პროცენტს არ ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა. არ ესმით, თუ არ უნდათ რომ გაიგონ?

ისინი ამ სიტყვას ხალხისთვის თვალებში ნაცრის შესაყრელად ხმარობენ. თითქოს, არ აინტერესებთ, თუ როგორ გაჩეხავენ ვაკის პარკს და შიგ რესტორანს გახსნიან და თითქოს, უნდათ, რომ ჰქონდეთ ისეთი შემოსავლები, რომლებიც გაუცემელი თოთხმეტლარიანი პენსიებისგან და ხელფასებისგან შედგება.

სამართალი ხომ კანონების დაცვაა. დღეს კი სულ კანონის დარღვევაზეა საუბარი, მაგრამ უშემოსავლო და უუფლებო საზოგადოებასთან მიმართებაში, თორემ მთავრობაში რა კანონებს არღვევენ, ეს სამართალდამცავებს არ აინტერესებთ. როგორ შეიძლება ენდო იმ მოსამართლეს, რომელიც ფულის "ხამია" და შეუძლია, რომ დამნაშავე ფულის გულისთვის გაამართლოს. ან, როგორ შეიძლება საზოგადოება ენდოს ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლ მილიციელს, რომელიც ერთ ნარკომანს წაართმევს წამალს და მეორეს უფრო ძვირად მიჰყიდის. ან, როგორი უნდა იყოს მოქალაქის მდგომარეობა, რომელსაც არჩევნების წინ "ხმა მომეცი და ყველაფერს გაგიკეთებო", შეპირდებიან, და, რომ გაიმარჯვებს, საცხოვრებელ ადგილსაც წაართმევენ და იქ საუნას, ან გასართობ კლუბს ააშენებენ. ასე რომ, რა გასაკვირია, თუ ზიზღის და უნდობლობის ზემოქმედებით მოქალაქე რამეს დააშავებს. მე ვფიქრობ, სიტყვა "კორუფციის" განმარტებად "საქართველო" გამოდგება.

შეიძლება, ბევრი შავი ფერია ჩემს ნათქვამში და გამომრჩა ის, რომ ამ სამყაროში არსებობს ნათელი წერტილები, ისეთი ადამიანები, რომლებსაც გულში სიკეთე აქვთ და სხვებზე ზრუნავენ. სწორედ ასეთი ადამიანების იმედი უნდა გვქონდეს და ალბათ, გვაქვს კიდეც, რადგან ხელი არ ჩაგვიქნევია. თუ ერთმანეთს გვერდში ამოვუდგებით და კარგ საქმეებს გავაკეთებთ, ღმერთიც შეგვეწევა და შეგვაძლებინებს, რომ შავ სამყაროს ვძლიოთ.



მაგალითად ფსიქოლოგიური და ირაკლი ბილანიშვილის ფოტოკოლაჟი

უცხოელები ჩვენს აზრს არაფრად ჩააგდებენ

თაკო ახობაძე

ვალდორფის თავისუფალი სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

ჩემი აზით, საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გამოსასწორებელი, რადგან არც ერთი ორგანო წესიერად არ მუშაობს. ეს კი აისახება ქართველი ხალხის განათლებაზე, ცხოვრების დონეზე და მრავალ სხვა საკითხზე. კორუფცია, რომელიც საქართველოშია გაბატონებული, ანგრევს ქვეყანას და, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, მოდის მთავრობიდან, რომელიც, ხშირად, უმსგავსოებაზე ხუჭავს თვალს. მე ძალიან მაწუხებს განათლების სისტემა – სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სრული ქაოსია.

რას ფიქრობს მთავრობა იმაზე, რომ საზღვარგარეთ საქართველოში მიღებულ განათლებას არ ცნობენ ? ეს ფაქტი ძალიან დამამცირებელია და არცხვენს ჩვენს განათლების სისტემას. ამის გამოსასწორებლად რა კეთდება?

ჩვენთან ჯერ კიდევ ჩაწყობა ითვლება "ნორმალურ" მოქმედებად. აქაური "წესის" მიხედვით, მე, როცა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება მომიწევს, რატომ უნდა ვფიქრობდე და ვნერვიულობდე იმაზე, თუ სხვა როგორ მოიქცევა, ჩააწყობს თუ არა და მე ამ ფონზე მე "დავიჩაგრები" თუ არა.

ან, პოლიცია როგორ იქცევა, მათხოვრობამდე არაფერი აკლია. მძღოლებს ფულს ართმევენ და ოღონდ რამე აიღონ, 50 თეთრზეც თანახმა არიან. ერთმა ინსპექტორმა სამარშრუტოს მძღოლს უთხრა, "გიორგობაა და 50 თეთრი მაინც მომეციო".

ჩემი აზრით, თუ არ მოხდება საგრძნობი ცვლილებები ამ დარგებში, საქართველოს ეყოლება გაუნათლებელი მოქალაქეები, აღარ იმუშავებს მრავალი სამსახური და უცხოელებიც ჩვენს აზრს არაფრად არ ჩააგდებენ.

ვინ გააკეთებს გზას?

ანა ტაბატაძე

ვალდორფის თავისუფალი სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

მე ვცხოვრობ აგლაძის (ელიავას) ქუჩაზე, ბაზრობასთან ახლოს. ქუჩაზე უამრავი ავტოსახელოსნოა, არის ხმაური, ჭუჭყი, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც ამბობენ, საქმიანი ცხოვრების ნაწილია და ვერაფერს იზამ.

მაგრამ თვითონ ქუჩა ძალიან ცუდ დღეშია: ასფალტი აყრილია, სახლში მანქანით რომ მოდიხარ, ოღროჩოღროებისაგან შეიძლება გული აგერიოს. ფეხით გამოვლაც ვერაფერი სიამოვნებაა. წვიმიან ამინდში კიდევ უფრო საშინელია.

მე ვიცი, რომ მძღოლები იხდიან გადასახადს, რომელიც გზის გაკეთებასაც უნდა მოხმარდეს; კიდევ არსებობს დიდუბის რაიონის მმართველობა, რომელმაც უნდა შეაკეთოს გზა; არსებობს გზების სამინისტრო; ასევე გვყავს პარლამენტში დიდუბის დეპუტატი გიორგი ბარამიძე; ან თუნდაც იმ სახელოსნოს უფროსები რატომ არ ფიქრობენ გზის შეკეთებაზე, რომლებიც ამ ქუჩაზე "ფულს აკეთებენ" და მათ გამო კიდევ უფრო მეტი მოძრაობაა გზაზე.

აი, რამდენი ვინმე უნდა ზრუნავდეს გზაზე, რომელიც ჩემს სახლთან გადის და რომელზეც მე დავდივარ.

ჩემს ქუჩაზე ძაღლების ბროვაა და შებინდებულზე დაუცველად ვერ გამოხვალ. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ ნებისმიერ ამინდში დედაჩემი ქოლგით დადის და თუ სტუმარი გვიან გადის სახლიდან, აუცილებლად ვატანთ მოსაგერიებელ ნივთს. ძაღლი მოსაკლავად მეცოდება, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს რაღაც ზომები, რომ ადამიანს ქუჩაში გასვლა უშიშრად შეეძლოს.

ჩემი მეგობარი ვეძისში, ლუქსენბურგის ქუჩაზე ცხოვრობს. როცა ეკითხებიან სად ცხოვრობო, "ელჩების უბანშიო" პასუხობს. უნდა ნახოთ, როგორი ათხრილია ქუჩა. საკუთარი ხალხის თუ არა, ელჩების მაინც ხომ უნდა შერცხვეთ მათ, ვისაც ევალება ქუჩების შეკეთება.

ვინ უნდა იფიქროს ამ საქმის მოგვარებაზე?

ვინ დაეხმარება ლექსოს?

ელენე ლაფერაძე

49-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

დედაჩემთან შაბათობით ბავშვები მოდიან, და-ძმა. პირველად რომ მოვიდნენ და დედა იკითხეს, გამიკვირდა, ასეთ ბავშვებს საიდან იცნობს-მეთქი, რაღაც სხვანაირები იყვნენ – მიუხედავები. აღმოჩნდა, რომ ლექსო და თამუნა დედაჩემს ქუჩაში გაუცნია, ბოთლებს აგროვებდნენ. დედას სახლში ამოუყვანია და ბოთლები მიუცია. შემდეგ გასაუბრებია და ამბავი გამოუკითხავს. ლექსო და თამუნა ახლა ყოველ შაბათს მოდიან ჩვენთან და ვმასპინძლობთ.

ისინი ნამდვილი და-ძმა არ არიან, თამუნას დედა ლექსოს მამის ცოლია, ლექსოს ნამდვილ დედას კი შვილი მამისთვის დაუთმია. მერე მამა ციხეში მოხვედრილა და ახლა ლექსო დედინაცვალთან და თამუნასთან ერთად ცხოვრობს. მას დაბადების მოწმობა არ აქვს და სკოლაში არ იღებენ. უკვე 8 წლისაა. ძალიან ჭკვიანი ბიჭია.

ნამდვილ დედასთან არ უნდა და მე მგონი, არც ის იკლავს თავს, თუმცა დაბადების მოწმობის ასაღებად ნამდვილი დედაა საჭიროო, ასე უთხრეს ლექსოს დედობილს. დედა კი კასპში ცხოვრობს და უარს ამბობს, რომ შვილს მიეხმაროს. დედაჩემმაც ვერაფერი შესძლო. სექტემბერი მოდის და ლექსო ისევ სკოლის გარეშე დარჩება. ვის შეუძლია მიეხმაროს ლექსოს?

მათხოვრობა თბილისის ქუჩებში

ლევან კაპანაძე

თბილისის მე-18 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

თბილისის ქუჩებში მათხოვრობა ბობოქრობს. ეს ჩვენი მთავრობის ცუდი მეთაურობის ბრალია. მათ აქამდე არ უნდა მიეყვანათ ხალხი. ახლაც შეიძლება, რომ წაეხმარონ და ვინც დღეს მათხოვრობს, თავი უფრო ღირსეულად გაიტანონ: იმუშაონ, ელემენტარულად, ეზო მაინც დაგავონ და ფული შრომით აიღონ. ამ საქმიანობით ქალაქიც სუფთა იქნება და მათხოვრებსაც იმედი მიეცემათ, რომ მომავალი აქვთ. **სამუშაო ადგილები ადამიანებისთვის, რომ არ დაკარგონ ადამიანობა-აი, რა არის, ჩემი აზრით, ხელისუფლების საქმე.**

საპარლამენტო არჩევნებიც მოდის და ალბათ, ყველა უნდა დაფიქრდეს, როგორი პარლამენტი სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

პასუხი

შპს "აისი გურჯაანის ნაყინის" პასუხი 123-სკოლის მოსწავლეების წინადადებაზე:
"კარგი იქნება, თუ ყველა ფირმა, რომელიც შეფუთულ პროდუქციას უშვებს, თვითონ იზრუნებს ნარჩენებზე, რომ ქალაქი არ დანაგვიანდეს".

შეუერთდით "გურჯაანის" ინიციატივას, რომ ქარი ნაყინის ქაღალდებს არ აფრიალებდეს

ყველაფერი 123-ე სკოლის გარემოს დაცვის პრობლემებზე ჩაფიქრებული მოსწავლეების წერილით დაიწყო, რომელიც "24 საათმა" გამოაქვეყნა. დანაგვიანებული თბილისით შეწუხებული მერვეკლასელები წერდნენ: "თითოეულმა ფირმამ, რომელსაც თავისი ნაწარმი გასაყიდად გამოაქვს, დადგას სანაგვე ურნები და შეიტანოს წვლილი წესიერი ნაგავსაყრელის მოწყობასა და ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის აშენებაში. ამავე ფირმებმა უნდა იზრუნონ, რომ საკუთარი ნაწარმისთვის, რაც შეიძლება ნაკლები შესაფუთი მასალა გამოიყენონ".

შპს "აისი გურჯაანის ნაყინმა" 17 ივლისს "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში ჩაატარა პრესკონფერენცია და საზოგადოებას გააცნო მის მიერ დაგეგმილი, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. შეხვედრის თანაორგანიზატორები იყვნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო M.G Company და სტუდია Art Magic.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ მეწარმეთა და მომხმარებლის უფლებების დაცვის, ანტიკორუფციული საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის, თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის, "თბილსერვისის", პრესის წარმომადგენლები.

"ჩვენ ამ წერილს გამოქვეყნებისთანავე მივაქციეთ ყურადღება. გურჯაანში უკვე დაწყებული გვქონდა ურნების განლაგება. ამ წერილის შემდეგ პრობლემას სხვა კუთხით შევხედეთ და ჩვენი პროდუქციის ნარჩენებზე თბილისშიც დავიწყეთ ფიქრი "-თქვა შპს "აისის" ხელმძღვანელმა გურამ ბერიკაშვილმა.

შპს "აისმა" გადაწყვიტა, რომ თბილისში, იქ, სადაც "აისის" სავაჭრო ცენტრებია, დადგან სანაგვე ურნები ლოგოთი და სისუფთავისკენ მოწოდებით, შეიცვალოს ნაყინის შესაფუთი მასალის დიზაინი, ეტიკეტზე გაკეთდეს წარწერა, რომ ქაღალდი მხოლოდ ურნაში ჩააგდონ; ქალაქში დაიდგმება ეკოლოგიური შინაარსის სოციალური რეკლამის ბილბორდები და სატელევიზიო სარეკლამო კლიპებს დაემატება სისუფთავისკენ მოწოდების ბლოკი.

რა თქმა უნდა, "აისი გურჯაანის ნაყინის" ინიციატივა ყველასთვის მისაღები იყო, მაგრამ ვინც ესწრებოდა, მათ კიდევ ბევრი პრობლემა წარმოაჩინეს: მოსახლეობის და დაწესებულებების მხრიდან საგადასახადო მოსაკრებლების არგადახდა, პოლიეთილენის შესაფუთი მასალის ბუნებისათვის მავნებლობა...

"მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელმა" გურჯაანს შესთავაზა შესაფუთი მასალის დამზადებისას ისეთი დანამატი, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ პოლიეთილენის ნარჩენები, მაქსიმუმ 5 წელიწადში ბუნებისათვის უვნებლად დაიშლება. ცნობილია, რომ პოლიეთილენის ნაწარმი 100 დან 400 წლამდე ძლებს და აზიანებს ბუნებას.

პრესკონფერენციაზე დამსწრეთა საერთო აზრი იყო, რომ დასუფთავების დარგი ისე უნდა განვითარდეს, რომ უცხოელი მეპატრონე არ გახდეს საჭირო – "ნაგავს მაინც ნუ ჩავუგდებთ სხვას ხელში", ქვეყანაში სისუფთავე უნდა იყოს და ბუნებამ არ უნდა იზარალოს.

პრესკონფერენციაზე გადაწყვიტეს, რომ კარგი იქნება, თუ ყველა საწარმო და ფირმა, რომელიც შეფუთულ პროდუქციას აწარმოებს, გაერთიანდება და გადაწყვეტენ ნარჩენების პრობლემას. "აისი გურჯაანის ნაყინის" ინიციატივას რაც მეტი მეწარმე შეუერთდება, ქალაქი უფრო სუფთა იქნება.

მაგალითად ფსიქოლოგიური და ირაკლი ბილანიშვილის ფოტოკოლაჟი

პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროდან შეკითხვაზე: ვინ უნდა აღკვეთოს ჯიბის ქურდობა?

ქვეყანაში ბოლო პერიოდში შექმნილმა ეკონომიურმა ვითარებამ, უმუშევრობამ და საპასპორტო რეჟიმის გაუქმებამ გამოიწვია ჯიბიდან ქურდობის დანაშაულის მნიშვნელოვანი ზრდა. ამ კატეგორიის დანაშაულმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა დედაქალაქის იმ ტერიტორიაზე, სადაც განლაგებულია სავაჭრო ობიექტები და პიკის საათის დროს სამოქალაქო ტრანსპორტი. ამ სახის დანაშაულს სჩადიან უმრავლესად, 17 დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. აგრეთვე, დანაშაულს სჩადიან არასრულწლოვანები, რომელთაც არა აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და მშობლებისგან უმეთვალყუროდ არიან მიტოვებულნი. დანაშაულის დიდი ხვედრითი წილი მოდის დედაქალაქში სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ პირებზე. მაგ., მიმდინარე წელს დაკავებული 35 პირიდან რესპუბლიკის სხვა რაიონების მაცხოვრებელი იყო 17, ხოლო თბილისელი 18 პირი. დაკავებულთაგან ყველა უმუშევარია, ხოლო ადრე ნასამართლევია 22 პირი. აღნიშნულ დანაშაულთან ეფექტურ ბრძოლას ხელს უშლის აგრეთვე ის გარემოებაც, რომ, ხშირ შემთხვევაში, მოსამართლეები სჯერდებიან ისეთ აღმკვეთ ღონისძიებას, როგორიცაა, პოლიციის ზედამხედველობა. ჯიბის ქურდობაში 35 მხილებული პირიდან 23- ს შეეფარდა ზედამხედველობა, ხოლო 12-ს პატიმრობა. პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირები ისევ აქტიურად აგრძელებენ ძველ საქმიანობას.

მიმდინარე წლის ივნისის თვეში ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ განიხილა აღნიშნული დანაშაულის მიმართ გაწეული მუშაობის შედეგები, რა დროსაც დაისახა რიგი ღონისძიებები. ყველა რაიონულ შს სამმართველოში გადაიგზავნა დირექტიული წერილები. სუსტი მუშაობისათვის ადმინისტრაციული წესით დაისაჯნენ: დიდუბე –ჩუღურეთის, ვაკე-საბურთალოს და გლდანი-ნაძალადევის შს რაიონების სამმართველოს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსები.

2003 წლის 6 თვეში თბილისში რეგისტრირებულია 37 ჯიბის ქურდობის ფაქტი. გახსნილია 35, რაც შეადგენს 94, 5 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ 35 გახსნილი დანაშაულიდან 20 გამოვლენილია ქ. თბილისის შს სამმართველოს მიერ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

მასშტაბური რეიდები სადამის მოსახელთებლად

ლევან ღირსიაშვილი

სადამ ჰუსეინის ვაჟების – უდაის და ქუსაის ლიკვიდაციის შემდეგ, დღის წესრიგში თავად ერაყის დამხობილი პრეზიდენტის ნეიტრალიზების საკითხი დადგა. მისი მოკვლის ან შეპყრობის სურვილი კოალიციას დიდი ხანია აქვს, მაგრამ უდაის და ქუსაის განადგურებამ სადამის გარშემო არსებული წრე კიდევ უფრო დაავიწროვა. ცნობა ყოფილი დიქტატორის სიკვდილის ან დაპატიმრების შესახებ ნებისმიერ წუთს არის მოსალოდნელი. ალბათ, უფრო - სიკვდილის შესახებ, რადგან საეჭვოა, ის ცოცხალი ჩაბარდეს.

ტაქტიკური ჯგუფი 20˝ მანსურში ჩატარებული ოპერაციის დროს.

“მე მსურს, რომ ის სასამართლოში ვიხილო, მაგრამ ეს იმ სამხედროებზეა დამოკიდებული, რომლებიც მას ეძებენ. მე ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი იქნება,” - განაცხადა ერაყში დიდი ბრიტანეთის ახლად დანიშნულმა ელჩმა სერ ჯერემი გრინსტოკმა, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას სექტემბრიდან შეუდგება. მის მოწოდებას, ანუ სადამის ცოცხლად შეპყრობის იდეას, მხარი დაუჭირა ერაყის ნაციონალური კონგრესის ლიდერმა და გარდამავალი მმართველი საბჭოს წევრმა აჰმედ ჩალაბიმ. **“მე ვფიქრობ, რომ როგორც ერაყელი ხალხისათვის, ასევე მსოფლიოსათვის, გაცილებით უკეთესი იქნება, თუკი სადამს ცოცხლად შეიპყრობენ და სასამართლოში წარადგენენ. მან პასუხი უნდა აგოს ასობით ათასი ადამიანის მკვლელობის გამო და იმ ომებისათვის, რომელსაც ის ირანის, ქუვეითის და ქურთისტანის წინააღმდეგ აწარმოებდა,”** - განაცხადა ჩალაბიმ.

ამასობაში კი, აშშ-ს შეიარაღებული ძალების სპეცნაწილები ერაყის ყოფილი დიქტატორის მოსახელთებლად აქტიურ სამხედრო რეიდებს ახორციელებენ. გუშინ მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია ბაღდადის ყველაზე მდიდარ რაიონში – მანსურში ჩატარდა, რასაც სააგენტო “ბიბისის” ცნობით, ბაღდადის ხუთი მშვიდობიანი მცხოვრების სიცოცხლე შეეწირა.

აშშ-ს სპეცრაზმის “ტაქტიკური ჯგუფი-20” ჯარისკაცები ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში შევარდნენ, სადაც ჯერ შესასვლელი კარები ააფეთქეს, შემდეგ კი ფანჯრების მინები ჩაამსხვრიეს და ცეცხლი გაუხსნეს შემთხვევით გამვლელ ავტომანქანებს, რომლებიც სახლის მახლობლად გამოჩნდნენ. საინფორმაციო წყაროების თქმით, სამხედროები ამ სახლში სადამის ერთერთი ნათესავის მოხელეთებას იმედოვნებდნენ, თუმცა - უშედეგოდ. თავად სახლის პატრონი კი მოგვიანებით დაბრუნდა. მან მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა. ვილის მფლობელი რაბეაჰ ამინი ყვება, თუ რა საშინელი სურათი იხილა საკუთარ სახლში. მისი თქმით, ვილას კარები აღარ ჰქონდა და ყველაფერი დაღეწილი და დამსხვრეული იყო. **“მე შემატყობინეს, რომ ამერიკელებს გააჩნდათ ცნობა, თითქოს ჩემს სახლში სადამი იმალებოდა და ის ჩემი სტუმარი იყო. მაგრამ მე მის თაობაზე არაფერი ვიცი,”** - აცხადებს სახლის მფლობელი.

შემთხვევის ადგილას შეკრებილი ბაღდადელები აღშფოთებულები აცხადებდნენ, რომ ამერიკელები ასეთი უხეში და აგრესიული მოქმედებებით პოპულარობას ვერ მოიპოვებენ.

მანსურის რეიდამდე, აშშ-ს სპეცრაზმმა ასევე წარუმატებელი ოპერაციები განახორციელა სადამის მშობლიურ ქალაქ თიქრითის მახლობლად მდებარე სამ ფერმაში. აშშ-ს არმიის წარმომადგენლების თქმით, მათ მიიღეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთ ფერმაში სადამის უშიშროების სამსახურის შეფი და, შესაძლოა, თავად ყოფილი პრეზიდენტიც კი იმალებოდნენ. ოპერაცია უშედეგოდ დასრულდა.

ამერიკელებმა ძებნილების იქ ყოფნის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს. თიქრითში ჩასულმა აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელმა რიჩარდ მაიერსმა განაცხადა, რომ სადამის დაპატიმრება **“დროის საქმეა.”** მან აგრეთვე დასძინა, რომ უდაის და ქუსაის მკვლელობის შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც სურს, რომ სადამის ადგილსამყოფელის შესახებ კოალიციას ინფორმაცია მიაწოდოს. ეს ბუნებრივიც არის. უდაის და ქუსაის მოხელეთებაში ხომ ამერიკელებს თავად ერაყელი დაეხმარა, რომელმაც დაპირებული ჯილდო - 30 მილიონი ამერიკული დოლარი უკვე მიიღო. სადამის თავი კი 25 მილიონად არის შეფასებული. სწორედ ამიტომ, სავარაუდოა, რომ გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ერაყელები დაუდასტურებელი ცნობების და გაგონილი ჭორების რეალურ ინფორმაციად გასაღებას ცდილობენ. ხომ შეიძლება, რომ ეს ჭორი ერთხელაც სიმართლე აღმოჩნდეს?

მე-4 ქვეითი დივიზიის პოლკოვნიკი ჯეიმს ჰიკკი აცხადებს, რომ სადამსა და მის თანმხლებ პირებს დასამალი ადგილები არც ისე ბევრი დარჩათ. **“ჩვენ ნებისმიერ დღეს შეიძლება დავუკაკუნოთ მათ კარებზე, ან პირდაპირ შევლეწოთ და მათ ეს მშვენივრად იციან.”**

ეს რომ ასეა და სადამის მოხელეთება რომ ნებისმიერ მომენტშია მოსალოდნელი, თავად რიჩარდ მაიერსმაც დაადასტურა და ამის მაგალითად უდაი და ქუსაი ჰუსეინების ლიკვიდაციის ფაქტი მოიყვანა. როგორც ცნობილია, სადამის ვაჟების ადგილსამყოფელი ამერიკელებმა ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე შეიტყვეს. **“სადამის დღეები დათვლილია. უეჭველია, რომ ის შემდეგი იქნება. მას ვინმე "გაყიდის" და ბოლოს და ბოლოს მას დაიჭერენ, რის შემდეგაც მასობრივი ზეიმი დაიწყება,”** - განუცხადა “დეილი ტელეგრაფს” მაღალჩინოსანმა ბრიტანელმა სამხედრომ ჯონ სოუერსმა.

ამასობაში კი, კვლავ წარმატებით გრძელდება კოალიციის სამხედრო ნაწილებზე თავდასხმები, რომელსაც სადამის ერთგული ფაედინები ახორციელებენ. ერთადერთი, რაც ამ თავდასხმებს შეაჩერებს, თავად ყოფილი დიქტატორის ლიკვიდაცია ან დაპატიმრებაა.

ირანის ელჩი დამატებითი პროტოკოლის ხელმოწერას მოითხოვს

ატომური ენერგიის სააგენტოს თავმჯდომარე ელ-ბარადეი ირანს საბოლოო ვერდიქტს სექტემბერში გამოუტანს.

რევაზ ბახტაძე

ირანის მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ თეირანი ბირთვული რეაქტორების დეტალურ ინსპექტირებაზე უნდა დათანხმდეს, რათა ქვეყანაზე საერთაშორისო ზეწოლა შეამციროს.

სახელმწიფო ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში ირანის წარმომადგენელმა ალი აკბარ სალეჰმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს, თეირანი სათანადო ზომებს მიიღებს, რათა სექტემბერში ატომური სააგენტოს მმართველი საბჭოს შეხვედრამდე დაძაბულობა განმუხტოს.

შეკითხვაზე, უნდა მოაწეროს ხელი ირანმა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დამატებით პროტოკოლს თუ არა, სალეჰიმ უპასუხა: “ამჟამად დამატებითი პროტოკოლი იმ პრობლემების მოსაგვარებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ, რომელიც ბოლო ხანებში წარმოიქმნა. ჩვენი ბირთვული საქმიანობის პოლიტიზაციას წერტილი უნდა დავუსვათ”. დამატებით პროტოკოლზე ხელისმოწერა ატომური ენერგიის სააგენტოს ინსპექტორებს საშუალებას მისცემს, რომ ნებისმიერ დროს, გაუფრთხილებლად ჩავიდნენ ირანში და ბირთვულ რეაქტორებს დეტალური ინსპექტირება ჩაუტარონ.

გაერო-ს სისტემაში შემავალმა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ, ამ ორგანიზაციის მეთაურის მოჰამად ელ-ბარადეის ირანში ვიზიტის შემდეგ განაცხადა, რომ ირანმა რამდენიმე ბირთვული პროგრამა საერთაშორისო საზოგადოებას დაუმალა. ირანი უარყოფს, რომ ბირთვული იარაღის შექმნას აპირებს და ამტკიცებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად არის გამიზნული.

სალეჰის განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ მომავალ თვეში მაღალი თანამდებობის პირები თეირანში “შესაბამის, წინდახედულ პოლიტიკას გაატარებენ, რაც საშუალებას მისცემს ირანს, პრობლემები უკან მოიტოვოს”.

ირანის კონსერვატიულმა წრეებმა უკვე განაცხადეს, რომ დამატებით პროტოკოლზე ხელმოწერა ირანის სუვერენიტეტის შელახვა იქნება. მათი აზრით, უმჯობესია, თუ ირანი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან საერთოდ გამოვა.

სალეჰიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლით ჩრდილოეთ კორეამ საკუთარი თავი “ძალზე მძიმე დღეში ჩაიყენა”.

“საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიურ მოღვაწეობაზე უარის თქმა, ან ამ ორგანიზაციებიდან გამოსვლა ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ემიჯნები ან მთელ თანამეგობრობას უპირისპირდები, რაც ირანის მსგავსი სახელმწიფოსათვის მიზანშეწონილი არ არის,” - დასძინა მან.

თუმცა, ირანში მყოფი მიმოხილველები მიიჩნევენ, რომ სექტემბრისთვის ირანსა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შორის პრობლემების მოგვარება არარეალურა.

ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომელსაც ირანის მთავრობა ხელს მოაწერს, საბოლოოდ მწვანე შუქი რევოლუციის მცველთა საბჭომ უნდა მისცეს. მცველთა საბჭო ქვეყნის მმართველობის ერთ-ერთი უმაღლესი ორგანოა, რომლის წევრების უმრავლესობა კონსერვატორული, ანტიდასავლური შეხედულებებით გამოირჩევიან.

ახლა, ექსპერტები და დასავლეთის მთავრობები იმედს მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე ამყარებენ. ირანმა ატომური სააგენტოს იურისტები აგვისტოში მიიწვია, რათა დამატებით პროტოკოლზე ხელმოწერის შესაძლო გავლენა ერთად განიხილონ.

უოტერგეიტიდან 30 წლის შემდეგ ნიქსონის თანაშემწე ალაპარაკდა

ნიქსონი

უოტერგეიტის სკანდალიდან 30 წლის შემდეგ ნიქსონის ყოფილმა თანაშემწემ აღიარა, რომ დემოკრატიული პარტიის ოფისში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება პრეზიდენტის პირადი ბრძანების საფუძველზე მოხდა. აქამდე ითვლებოდა, რომ ნიქსონის როლი სკანდალის დაფარვით შემოიფარგლებოდა.

პრეზიდენტის როლის შესახებ ნიქსონის საარჩევნო კამპანიის დირექტორის მოადგილემ, ჯებ სტიუარტ მაგრუდერმა უოტერგეიტზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის ავტორებს განუცხადა. ინციდენტი 1972 წელს მოხდა. გამოძიება ორ წელიწადს გრძელდებოდა. საბოლოოდ, 1974 წელს ნიქსონი გადადგა.

მაგრუდერმა განაცხადა, რომ მან გაიგონა, როგორ უთხრა ნიქსონმა ტელეფონით ჯონ მიჩელს: "მიდი ჯონ, შენ ეს უნდა გააკეთო".

მიჩელი აშშ-ს გენერალური პროკურორი და ნიქსონის საარჩევნო კამპანიის მთავარი მენეჯერი იყო.

ნიქსონის მაშინდელმა მრჩეველმა ჯონ დინმა განაცხადა, რომ იგი ვერც უარყოფს და ვერც დაადასტურებს ამ ცნობას.

უოტერგეიტის საქმის ექსპერტებს სჯერათ - ნიქსონმა იცოდა იმის შესახებ, რომ მისი ხალხი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ლარი ო`ბრაიენის ოფისში მოსასმენი აპარატურის დადგმას აპირებდა, გარდა ამისა, იგი შეეცადა მიეფუჩეჩებინა თეთრი სახლის როლი ამ საქმეში. თუმცა კითხვა - ზუსტად რა იცოდა ნიქსონმა და როდიდან - ამერიკაში კვლავაც აქტუალურია.

ითვლება, რომ უოტერგეიტის საქმეში მთავარი როლი ეფბი-აი-ს ყოფილმა აგენტმა გორდონ ლიბიმ შეასრულა. ლიბიმ ხუთი წელი გაატარა ციხეში იმის გამო, რომ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა.

"ყოველთვის ვეჭვობდი, რომ ასე იქნებოდა, – განაცხადა დინმა, – მე ვერ დავუდგები ნიქსონს იმის თავდებად, რომ იგი ამას არ იზამდა".

მაგრუდერმა სასამართლოსათვის ხელის შეშლის ბრალდებით ციხეში შვიდი თვე გაატარა.

დინის განცხადებით, არსებობს მცირე მტკიცებულება იმისა, რომ მაგრუდერი მართალია. 1973 წელს გაკეთებულ აუდიო ჩანაწერში თეთრი სახლის აპარატის უფროსი ბობ ჰალდემანი უცნობ რესპოდენტს ეუბნება: "მაგრუდერი ადასტურებს, რომ ნიქსონმა თანხმობა მოგვცა".

დინი აცხადებს, რომ მაგრუდერის ნათქვამში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს: "არ მესმის, რატომ უნდა თქვას ჯებმა ტყუილი, თუმცა კარგად მესმის, რატომ არაფერი თქვა მან ამდენი ხნის განმავლობაში".

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მაგრუდერი პრესბიტერიანელი პასტორი გახდა.

დინის თქმით, 30 წლის შემდეგ ეს ამბავი მხოლოდ ისტორიკოსებს თუ დააინტერესებს. მით უმეტეს, რომ რაიმეს გადაჭრით მტკიცება ძნელია. სკანდალის მთავარი მოქმედი გმირები: ნიქსონი, ჰალდემანი და მიჩელი უკვე აღარ არიან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით

მიმდინარე წლის 21-25 ივლისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 21 258,5 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 824.8 ათასი ლარი:

- **დისკონტი - 231.4 ათასი ლარი;**
- **ეროვნული ბანკის პროცენტი - 546.4 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 47.0 ათასი ლარი;**

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 19 788.4 ათასი ლარი;

საგარეო ვალების მომსახურება (თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება - ს.ს "თბილავიამშენი") - 2 500.0 ათასი ლარი, თანახმად საქართველოს პრეზიდენტის 27 ივნისის N798 განკარგულებისა;

საგარეო ვალების მომსახურება (თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება - ს.ს "ქართული შაქარი") - 5 500.0 ათასი ლარი, თანახმად საქართველოს პრეზიდენტის 27 ივნისის N798 განკარგულებისა;

საგარეო ვალდებულებების მომსახურება - 5 034.2 ათასი ლარი;

მსოფლიო ბანკის სტრუქტურული რეფორმების მხარდამჭერი პროექტის თანადაფინანსება - 69.4 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების ივნისის თვის შრომის ანაზღაურება - 1 867.1 ათასი ლარი;

- ქ. თბილისში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები (საშვებულებო) - 1 000.0 ათასი ლარი;
- რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები - 583.5 ათასი ლარი;
- რეგიონებში განლაგებული სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების საშვებულებო - 283.6 ათასი ლარი;

ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს (ივნისის თვის) - 4 455.0 ათასი ლარი;

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 304.0 ათასი ლარი (მ.შ ანძა - 103.6 ათასი ლარი);

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამები - 12.5 ათასი ლარი;

კულტურის სამინისტროს პროგრამები - 30.0 ათასი ლარი;

პრეზიდენტის ფონდი - 16.2 ათასი ლარი;

- ლიტერატურტის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი (ომარ მამდლის პრემიის მინიწებასთან დაკავშირებით) - 9.2 ათასი ლარი;
- ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი (ნოდარ ლომოურის ფინანსური დახმარება) - 2.0 ათასი ლარი;
- კულტურის სამინისტრო (გოდერძი ჩოხელის ფინანსური დახმარება) - 5.0 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 645.3 ათასი ლარი;

"სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით - 570.3 ათასი ლარი:

- საქართველოს პარლამენტი - 10.0 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 250.0 ათასი ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 150.0 ათასი ლარი;
- უშიშროების საბჭო - 20.0 ათასი ლარი;
- სახელმწიფო დაცვის სამსახური - 22.6 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 50.0 ათასი ლარი;
- სამხედრო საინჟინრო აკადემია - 6.7 ათასი ლარი;
- კრწანისის რეზიდენცია - 30.0 ათასი ლარი;
- მეცნიერებათა აკადემია (ენათმეცნიერების ინსტიტუტი - პროგრამული ხარჯები) - 6.0 ათასი ლარი;
- უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისია (დაღუპულთა გადმოსვენების ხარჯები) - 25.0 ათასი ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის 28.02.03 N211 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი კომისიის სხდომის 28.02.03 N2/8 ოქმის დავალებათა შესაბამისად, ენერგეტიკის სექტორის სუბსიდირებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან ტყიბულის შახტების შენარჩუნებისათვის ს.ს. "ტყიბულნახშირს" გადაერიცხა 75.0 ათასი ლარი;

სულ ხარჯი: 21 258.5 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 824.8 ათასი ლარი:

- **დისკონტი - 231.4 ათასი ლარი;**
- **ეროვნული ბანკის პროცენტი - 546.4 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 47.0 ათასი ლარი;**

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 19 788.4 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 645.3 ათასი ლარი;

- **სხვა საქონელი და მომსახურება - 570.3 ათასი ლარი;**
- **სუბსიდია - 75.0 ათასი ლარი;**

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1

ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge

ოპეკ-მა მაღალი შემოსავლები შეინარჩუნა

ვირველი გვერდიდან

კარტელის მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ნავთობის მიწოდება ისეთ დონეზე შეეინარჩუნებინათ, რომ მსოფლიო ფასი ბარელ ნავთობზე 22-28 ამერიკული დოლარი ყოფილიყო. ამგვარმა პოლიტიკამ ნავთობის ექსპორტიორებს დაგეგმილზე მაღალი შემოსავლები მოუტანა.

თუმცა, მომხმარებელი ქვეყნები აცხადებენ, რომ ნავთობის არც თუ ისე ხელსაყრელმა ფასებმა ეკონომიკური ზრდა შეაფერხა და, ამავდროულად, თავად ოპეკ-ის გაბატონებულ პოზიციებს ძირი გამოუთხარა, რომელსაც ბევრგან რუსეთი ჩაენაცვლა.

ოპეკ-ის ოპტიმისტური გათვლების მიუხედავად, ნავთობზე მსოფლიო მოთხოვნა ისეთი ტემპით არ იმატებს, როგორც ეს თავდაპირველად ბევრს ეგონა. ამდენად, კარტელს წარმოების მოცულობის გარკვეული დოზით შემცირება მომავალ წელს მაინც მოუწევს. თუმცა, საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრი ალი ალნაიმი მიიჩნევს, რომ მთავარია ოპეკ-მა რამდენიმე წელიწადს გაუძლოს. “ხუთ-შვიდ წელიწადში მოთხოვნა მკვეთრად გაიზრდება და ყველაფერი რიგზე იქნება,” - ამტკიცებს ნაიმი.

ჩოგბურთი

ტაილანდელი "US OPEN"-ის ფინალს უმიზნებს

ენდი როდიპი.

სანდრო ნავერიანი

ინდიანაპოლისში დასრულდა მორიგი საჩოგბურთო ტურნირი, რომელშიც ენდი როდიკმა გაიმარჯვა. ფინალში მან ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანი დაამარცხა - 7:6, 6:4. ახალგაზრდა ამერიკელმა უკვე მოასწრო ექვსი ტურნირის მოგება, ხოლო წლეულს მესამე ტურნირში მოიპოვა პირველობა. მატჩის შემდეგ გახარებულმა როდიკმა ბურთი ტრიბუნებისკენ ისროლა და ინტერვიუში, რომელიც კორტზევე მისცა ჟურნალისტებს, განაცხადა, რომ ამ ტურნირის მოგებით ის საუკეთესოდ მოემზადა ამერიკის ღია ჩემპიონატისთვის. მოგეხსენებათ, "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირი 25 აგვისტოს ნიუ იორკში აიღებს სტარტს და თორმეტ დღეს გასტანს. საგულისხმოა, რომ როდიკი, ისევე როგორც უმბლდონზე, ამერიკის ღია ჩემპიონატზეც ერთ-ერთ ფავორიტად არის დასახელებული.

ამერიკელი და ტაილანდელი მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან სამი შეხვედრა ამერიკელის გამარჯვებით დასრულდა. რაც შეეხება თავად მატჩს. პირველი რვა გეიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ორივე მოთამაშემ თავისი მოწოდებები ასი პროცენტით გამოიყენა. როდიკს ჰქონდა შანსი, ტაილანდელის მოწოდებაზე მეცხრე გეიმი მოეგო და ანგარიში 5:4 გაეხადა, მაგრამ პარადორნმა შეძლო გეიმის აღება და წინაც გავიდა. საქმე მივიდა ტაიბრეიკამდე, სადაც როდიკმა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, ერთი ამოსუნთქვით მოიგო სეტი. მეორე სეტში როდიკმა ტაქტიკა შეცვალა - უფრო ხშირად გადიოდა ბადესთან როგორც თავის, ისე მეტოქის მოწოდებაზე, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე პარადორნმა განაცხადა: არ მეგონა, თუ ასეთ კარგ ფორმაში ვიქნებოდი. ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ და თუ ამერიკის ღია პირველობამდე ფორმას შევინარჩუნებ, აუცილებლად მივაღწევ ფინალამდე. არც როდიკისთვის დაუკლია ქათინაურები და, არც მეტი, არც ნაკლები, დიდი სლემის ოთხივე ტურნირში გამარჯვება უწინასწარმეტყველა. როდიკმაც, თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა და მომავალში წარმატება უსურვა. რამდენად მართალი გამოდგება პარადორნი, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ფაქტი ერთია: ამერიკის ღია პირველობაზე ფინალამდე მიღწევა ძალიან რთული საქმეა. დაველოდოთ და ვნახოთ, გამორიცხული არაფერია.

ამავე დროს ავსტრიის პატარა ქალაქ კიცბუელში დასრულდა "Generali Open"-ის ტურნირი, რომელშიც არგენტინელმა გილიერმო კორიამ გაიმარჯვა. მან ფინალში ჩილელი ნიკოლას მასუ დაამარცხა. არგენტინელი აცხადებს, რომ კარგ ფორმაშია, რასაც მის მიერ ბოლო ორ თვეში მოგებული სამი ტურნირი და "როლან გაროსის" ნახევარფინალში გასვლაც ადასტურებს. ისიც გავითვალისწინოთ, რომ უიმბლდონის პერიოდში ფეხის ტრავმა ჰქონდა. მეტიც: უკანასკნელ ათ მატჩში არგენტინელს არც ერთი სეტი არ წაუგია.

ასე ემზადებიან (თან ფულსაც აკეთებენ) წამყვანი ჩოგბურთელები ამერიკის ღია პირველობისათვის, რომელიც წლეულს "დიდი სლემის" უკანასკნელი ტურნირია და რომლის მოგებაც ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის მიმდინარე სეზონის მაღალ ნოტზე დასრულებას ნიშნავს.

TV-სპორტი

სამშაბათი. 29 ივლისი

NTV + ფუტბოლ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ჰერტა" - "ენერგი"
15:05 უკრაინის ჩემპიონატი
16:55 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. მე-19 ტური
17:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ბოლონია" - "მილანი"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ლიდსი"
21:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ვალენსია" - " ფიორენტინა"
22:50 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "სელტა" - "ალავესი"
00:35 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" - "ვერდერი"

NTV + სპორტ

11:00, 14:00, 16:40, 22:15 პრეს-ცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 "რკინის ფაქტორი"
12:15 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ფინალური წრე
14:40 კალათბურთი. WNBA ჩემპიონატი
16:10 "საჭადრაკო მიმოხილვა"
16:55 ჰოკეი. სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. სტენლის თასი. ფინალი-2003
19:25 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ფინალური წრე. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ფინალური წრე. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 "ბილიარდის მეუფენი"
00:30 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები

EUROSPORT

11:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი
12:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
14:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
16:30 ფეხბურთი. ირლანდია
17:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
19:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
21:00 ფეხბურთი. ქალ-იუნიორთა ჩემპიონატი. გერმანია. პირდაპირი ტრანსლაცია
22:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 მძლეოსნობა
02:00 მძლეოსნობა
02:30 ახალი ამბები
02:45 მოტორბოლა. შეჯიბრება ავსტრიაში
03:15 გოლფი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

„ვარდების ომი„ არ დაიწყება!

ოლივერ კანის ეგოცენტრისტული ინტერვიუ

ნინო პირველი

როცა მშობლები ერთმანეთს შორდებიან, ამას ყველაზე მეტად ბავშვები განიცდიდიან, ისეთი პატარებიც კი, როგორიც ოლივერ კანის ქალიშვილი კატარინა-მარიაა. ის შესანიშნავად გრძნობს, რომ ყველაფერი ისე აღარ არის, როგორც ადრე იყო, რადგან დედას და მამას ის უკვე ცალ-ცალკე მიჰყავთ სასეირნოდ. "მამიკო, რატომ აღარ გძინავს შენს ლოგინში?" - ეკითხება კანს პატარა კატარინა. ოლივერს კარგად ესმის, როგორ უჭირს 4 წლის გოგონას ახალ ცხოვრებასთან შეგუება. ამის მიუხედავად, არც ოლი, არც მისი მეუღლე სიმონე აღარ ცდილობენ ურთიერთობის აღდგენას და ოჯახის შენარჩუნებას. ორივე თავისი გზით აპირებს სიარულს. კანს უხარია კიდეც, რომ ოჯახურ სცენებს ბოლო მოეღო და ახლა ვერენასთან ერთად თავისუფლად შეუძლია საზოგადოებაში გამოჩენა. მან უკვე წარუდგინა თავისი ახალი სატრფო "ბაიერნის" მთავარ მწვრთნელს და მენეჯერს. არც ოტმარ ჰიტცფელდს და არც ული ჰოინესს ჟურნალისტებთან სიტყვა არ დაუძრავთ ვერენას შესახებ და კაცმა არ იცის, როგორ მოეწონათ მათ ეს ვულგარული "პარტიგერლი", რომელიც ცდილობს, მაღალი საზოგადოების ქალბატონად იქცეს. კანისთვის სულ ერთია, რას ფიქრობენ მის საქციელზე. ის ძალიან ბედნიერია და ამის დაფარვას არც ცდილობს. "ბილდის" ჟურნალისტებს პეტერ ვენიგს და ჰანს-იურგენ შეფერს ხალისით მისცა უზარმაზარი ინტერვიუ, რომელიც "ბილდმა" შუაზე გაყო და ორი დღის განმავლობაში ართობდა საზოგადოებას კანის ექსცენტრიზმით. "ბაიერნის" მეკარე იმ საღამოს უჩვეულოდ გულგახსნილი იყო:

ოლივერ კანი საქორწინო ბეჭედს ვერ ელევა.

- ული ჰოინესი ამბობს, კანმა, ალბათ, ბედნიერების ელექსირი დალია, ყოველდღე ისეთ კარგ განწყობაზეაო. რას უნდა ვუმადლოდეთ თქვენს სიხარულისგან გაბრწყინებულ სახეს?

- არაფერს. უბრალოდ, ძალიან მიხარია ახალი სეზონის დაწყება. ზაფხულში კარგად დავისვენე და თამაში მომენატრა. შარშან, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ძალიან მოკლე შვებულება მქონდა და ფორმაში ჩადგომა ვერ მოვასწარი. ახლა ყველაფერი საუცხოოდ აეწყო.

- ზაფხულში პირადი ცხოვრებაც მოაწესრიგეთ?

- რა თქმა უნდა. ამის გარეშე სრული ბედნიერება შეუძლებელი იქნებოდა. როგორც იქნა, ჩემი ცხოვრება ისევ დაწყნარდა. ორიოდე თვის წინ ჩემთვის, უბრალოდ, შეუძლებელი იყო ქუჩაში წყნარად გავლა. ყოველ წვრილმანზე მაკრიტიკებდნენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთებისთვის ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, სად დავაყენებდი მანქანას და ვისთან ერთად შევიდოდი კაფეში, ვიდრე ის, თუ როგორ ვატარებდი მატჩებს. მინდა, რომ ამ სეზონში ყველამ ილაპარაკოს "ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანზე და ნაკლებად ჩაეღრიცენ ჩემს პირად ცხოვრებაში.

- რატომ არ გადახვედით რომელიმე ესპანურ ან იტალიურ გრანდში, სადაც უფრო მშვიდად იგრძნობდით თავს და არავინ შეგაწუხებდათ?

- ვაღიარებ, რომ, მართლაც, ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ მე არასოდეს გავქცეულვარ არავისგან და არაფრისგან. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, პრობლემებს გავმკლავებოდი და ჩემი ცხოვრება მიუნხენში მომეწყო.

- თქვენი გოგონა როგორ შეხვდა მშობლების დაშორებას?

- ძალიან განიცდის, რომ ერთად აღარ ვართ. კატარინა ჩემთვის ყველაზე მთავარია. მე პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. ბავშვმა იცის, რომ მას ყოველთვის შეუძლია ჩემთან დარეკვა. თუ კატარინას მამა დასჭირდება, მე მაშინვე მასთან გავჩნდები.

- მატჩის წინ ხომ ტელეფონი გამორთული გაქვთ?

- კატარინას შეუძლია, თამაშის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დამირეკოს.

- არ გეშინიათ, რომ სიმონემ შეიძლება ბავშვებზე მზრუნველობის უფლება წაგართვათ? გაყრის პროცესთან დაკავშირებული "ვარდების ომი" ხომ მეტად პრობლემური ხდება ხოლმე ცნობილი პიროვნებებისთვის...

- არა, "ვარდების ომამდე" საქმე არასოდეს მივა. ჩვენ ჩვიდმეტ წელიწადს ვიცხოვრეთ ერთად და მშვიდად დავშორდით ერთმანეთს. გაყრის პროცესი უმსგავსო შოუდ ნამდვილად არ იქცევა. ჩვენ პატივს ვცემთ ურთიერთს და არასოდეს შეგვრცხვება ერთმანეთის თვალებში ჩახედვა.

- თქვენ ჯერ კიდევ ატარებთ ქორწინების ბეჭედს...

- ამდენი წლის შემდეგ იოლი არ არის ბეჭდის მოხსნა.

- გასულ შაბათს საქველმოქმედო გოლფ-ტურნირზე ვერენასთან ერთად მიხვედით. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ოფიციალურად იწყებთ ახალ ურთიერთობას?

- ყველას აქვს უფლება, ისე წარმართოს თავისი პირადი ცხოვრება, როგორც თავად სურს. მე გულგახსნილი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩემს სულშიც არის იდუმალი შრეები, რომლის შესახებაც არ მინდა საუბარი. მოდი, ამ თემას ნუ შევეხებით.

- ოტმარ ჰიტცფელდი წუხს, რომ "ბაიერნის" ფეხბურთელები ხშირად ეხვევიან უსიამოვნებებში. აი, თქვენც მუდამ სიჩქარის გადაჭარბების გამო გაჯარიმებენ.

- მუდამ არა. ეს მხოლოდ ორჯერ მოხდა. ფიქრებში ვიყავი გართული და ვეღარ შევნიშნე, რომ ძალიან ჩქარა მივდიოდი.

- ალბათ, მართვის მოწმობას ჩამოგართმევენ...

- ვნახოთ, საქმე ჯერ ისევ განიხილება. ისე კი, საგანგაშო არაფერი ჩამიდენია. ამქვეყნად უარესი ამბებიც ხდება, მაგალითად, ერაყის ომი, ანდა უამრავი სოციალური პრობლემა უამრავ ქვეყანაში. ყველაფერ ამის ფონზე რა სათქმელია ორჯერ სიჩქარის გადაჭარბება?

საწყლოსნო სპორტი

HASTA LA VISTA, ბარსელონა!

გიგა გურასაშვილი

საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს ყველას გულისყური მოცურავეებისკენ იყო მიმართული. მათაც იმედი არ გაუცრუეს და, საინტერესო ორთაბრძოლების გარდა, სამი მსოფლიო რეკორდიც "მიართვეს" გულშემატკივრებს.

დასრულდა საწყლოსნო სახეობათა X მსოფლიო ჩემპიონატი. დახურვის ცერემონიალზე ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინ) პრეზიდენტმა მუსტაფა ლარფაუიმ კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი შედეგებს და ამაყად განაცხადა, რომ ჩემპიონატი შედგა. კერძოდ, დამყარდა 14 მსოფლიო (უფრო მეტი, ვიდრე 2001 წლის ფუკუოკას მსოფლიო ჩემპიონატზე და სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე. - რედ.), 36 ჩემპიონატის და 60 კონტინენტური რეკორდი. თავად ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობაც რეკორდული გამოდგა - 157 ქვეყნის 2015 ათლეტი. მსოფლიო ჩემპიონატს ტელევიზიით 155 ქვეყანაში უყურეს და მაყურებელთა რიცხვმა 700 მილიონს გადააჭარბა.

"ბარსელონა იყო ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდოდა, ანუ საოცარი", - ასე დაასრულა სიტყვა ფინას პრეზიდენტმა.

ჩემპიონატის დახურვის კულმინაციად იქცა ესპანელი ვარსკვლავების - გემა მენგუალის (სინქრონული ცურვა), ნინა ჟივანევსკაიას (ცურვა) და სალვადორ გომესის (წყალბურთი) გამოჩენა. ვარსკვლავთა ტრიომ ფინას გარდამავალი ალამი გადასცა კანადის სპორტის მაღალჩინოსანს პოლ დე ვილს, იმ ქვეყნის წარმომადგენელს, რომელმაც საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატის ესტაფეტა ჩაიბარა. მომდევნო ჩემპიონატს 2005 წელს მონრეალი უმასპინძლებს.

ახლა იმაზე, თუ რა უძღოდა წინ დახურვის ცერემონიალს. "პალაუ სანტ ხორდის" საცურაო კომპლექსში თავშეყრილი 12 250 მაყურებელი ჩემპიონატის დასკვნითი დღის პერიპეტიებით უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო - დასკვნითი დღე და სამი ისტორიული შედეგი, რომლის მთავარი გმირი ისევ 18 წლის ამერიკელი მაიკლ ფელპსია, - ფელპსი, რომელმაც ბარსელონაში მეხუთე მსოფლიო რეკორდი დაამყარა და, შესაბამისად, ერთ ასპარეზობაზე, ამ შემთხვევაში კი მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე, ამერიკელი მარკ სპიცის მიერ ოთხჯერ დაყარებული მსოფლიო რეკორდების ოდენობა გააუმჯობესა. საინტერესოა, შეძლებს თუ არა ფელპსი სახელოვანი თანამემამულის სხვა რეკორდის დამხობას თუ არა, გამეორებას მაინც. მაშინ მიუნხენის წყალში მარკ სპიცმა ოლიმპიურ ყულაბაში შვიდი "ოქრო" ჩააჩხრიალა. ახლა თავად რეკორდზეც.

მაიკლ ფელპსმა, გარდა იმისა, რომ მეხუთე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ჩემპიონატის მესამე ოქროს მედალიც დაიმსახურა. ამისთვის კი 400 მეტრზე კომპლექსურში გარჯა დასჭირდა, რომლის დასრულების შემდეგაც ტაბლოზე მსოფლიო რეკორდი - 4.09,09 აღინიშნა. სარეკორდოდ აელვარებული ტაბლო მაყურებელმა კიდევ ორჯერ იხილა. ამასთან, ერთი ჩემპიონატის დასკვნითი აკორდი გამოდგა. 4X100 კომბინირებულ ესტაფეტაში ამერიკელთა კვარტეტმა - არონ პირსოლმა, ბრენდან ჰანსენმა, იან კროკერმა და ჯეისონ ლეჟაკმა შარშან მათ მიერვე დამყარებულ მსოფლიო რეკორდს ორი წამი ჩამოაკლეს და შედეგად - 3.31,54 მიიღეს. გაოცებული ხართ? - ჰკითხეს პირსოლს. "არა", - იყო პასუხი. - "თითოეულმა ჩვენგანმა ვიცოდით, რომ ჩვენ ეს შეგვეძლო, ეს გვინდოდა და ამისთვისაც ვიყავით აქ".

ამერიკელთა რეკორდებს შორის 50 მეტრზე გულაღმა ფინალურ გაცურვაში გერმანელმა ტომას რუპრატმაც გამოიჩინა თავი – 24, 80 და შედეგად მსოფლიო ჩემპიონატების პირველი ოქროს მედალიც მას დარჩა.

როდესაც მსოფლიო ჩემპიონატი იღებდა სტარტს, არაერთი ვარაუდი გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დასახელდებოდა ჩემპიონატის საუკეთესო მოცურავე ქალ-ვაჟად. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ვაჟები იწვევდნენ. ალბათ, იმიტომ, რომ აქ ბევრად მძაფრია კონკურენცია, თანაც, ბარსელონაში მთელი თანავარსკვლავედი იყო წარმოდგენილი. დრო განმავლობაში ერთბაშად რამდენიმე კანდიდატიც - იან ტორპი, კოსუკე კიტაჯიმა და მაიკლ ფელპსი გამოკვეთა. ბოლო დღის შედეგების მხრივ კი ნათელი და აშკარა გახდა, რომ პირველობა ფელპსს დარჩებოდა, რაც მოხდა კიდეც. ამერიკელი 28 ქულით ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მეტიც: უახლოეს მდევრებზე - ავსტრალიელ გრანტ ჰეკეტსა და იან ტორპზე, მათ შორის, გერმანელ ქალ ჰანა შტოკბაუერზე, ფაქტობრივად, ორჯერ მეტი ქულა დააგროვა. კერძოდ, მდევართა მონაგარი 15-15 ქულაა. აქედან გამომდინარე, შეგიძლიათ, დაასკვნათ, რომ ქალთა შორის ჩემპიონატის საუკეთესო მოცურავედ დასახელდა შტოკბაუერი, რომელმაც 400, 800 და 1500 მეტრზე "თავისუფალში" ჩემპიონობით შესაბამისი ტიტული გამოაწერთო. საერთოდ კი, ქულებს შემდეგი პრინციპით ითვლიან: "ოქროსთვის" 5 ქულა, "ვერცხლისთვის" - 3 და "ბრინჯაოსთვის" - 2. ხოლო თუ ვინმე მსოფლიო რეკორდსაც შეწვდებოდა, დამატებით 2 ქულასაც გამოჰკრავდა ხელს.

და მაინც, ვინ მოაგროვა ყველაზე მეტი მედალი. ლიდერობა, როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ-ის ნაკრებმა მოიპოვა - 11-12-5. მეორე ადგილზე მათი ისტორიული მეტოქეები - ავსტრალიელები არიან - 6-10-6, ხოლო მესამეზე - გერმანელები 5-1-2. რაც შეეხება მთლიანობაში, ანუ ხუთ დისციპლინაში (წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, ღია წყალში ცურვა, წყალბურთი და ცურვა) გათამაშებულ მედლებს, აქაც ამერიკელები არიან პირველები (12-3-6). ავსტრალიელები მესამე ადგილზე გავიდნენ (8-12-6), ხოლო მათ შორის ადგილი, როგორც ვვარაუდობდით, რუსებმა დაიკავეს (10-5-6). მთლიანობაში 28 ქვეყნის წარმომადგენელმა შეძლო ერთი ან მეტი მედლის მოპოვება. მსოფლიო ჩემპიონატმა კი 2005 წლამდე ტაიმ-აუტი აიღო.

Hasta la vista, ბარსელონა, მომავალ შეხვედრამდე მონრეალში!

მაიკლ ფელპსი ჩემპიონატის საუკეთესო მოცურავედ აღიარეს.

REUTERS

ინფორთეკა

ფეხბურთი. მოსკოვის "სპარტაკის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ კლუბის ქართველის მცველი ვალერი აბრამიძე გუნდიდან გაუშვას. აბრამიძე შარშან გადავიდა "სპარტაკში" და ამ ხნის განმავლობაში ვერა და ვერ შეძლო გუნდში ფეხის მოკიდება. მან მხოლოდ 15 მატჩი ჩაატარა კლუბის შემადგენლობაში, ახლა კი ტრანსფერზე დააყენეს. 23 წლის მცველის შეძენის მსურველი კლუბების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანური პრესის ცნობით, ამ დროისთვის მადრიდის "რეალის" უპირველესი ამოცანა ფრანგული "ოსერის" მცველის ფილიპ მექსესის შეძენაა. მას შემდეგ, რაც სამედიცინო ტესტი ვერ დააკმაყოფილა არგენტინელმა გაბრიელ მილიტომ, "რეალი" კვლავინდებურად ცენტრალური მცველის ძიებაშია. მადრიდელებმა ვერა და ვერ იპოვეს ფერნანდო იეროს შემცვლელი. ჟურნალისტების ინფორმაციით, ფრანგი მცველის შეძენა "რეალს" დაახლოებით ოთხი მილიონი ევრო დაუჯდება. თუ "სამეფო კლუბმა" მექსესის გადაბირება ვერ შეძლო, მადრიდელები სხვა კანდიდატურებს განიხილავენ. საუბარია ლიხაბონის "სპორტინგის" მცველ ბეტოზე, რომელსაც კარგად იცნობს მადრიდელთა მწვრთნელი კარლოს კეირუში. ასევე განიხილება გერმანელი კრისტოფ მეცელდერის და არგენტინელი ვალტერ სამუელის კანდიდატურებიც.

■ ■ ■

ფეხბურთი. გერმანული ჟურნალის "Kicker"-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გასული სეზონის გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად მიუნხენის "ბაიერნის" ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი აღიარეს. ბალაკმა 433 ხმა დააგროვა, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა ოლივერ კანმა - 345. ასეთი აღიარება ბალაკისთვის პირველია. ოლივერ კანი კი გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ უკვე აღიარეს 2000 და 2001 წლებში.

■ ■ ■

ფეხბურთი. ცნობილი გახდა, რომ ლონდონის "ჩელსი", ახლა უკვე მთლიანად, რუსი მილიონერის რომან აბრამოვიჩის საკუთრებაა. აბრამოვიჩის მიერ კლუბ "ჩელსის" შესყიდვის მიზნით შექმნილი კომპანია "ჩელსი ლიმიტედი" იუწყება, რომ კლუბის აქციების 93,75 პროცენტი სწორედ აბრამოვიჩს ეკუთვნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, აბრამოვიჩი "ჩელსის" ერთადერთი მეპატრონეა. "ჩელსი ვილიჯი" ამერიდან კერძო კლუბია, რომელთან დაკავშირებითაც კომპანია "ჩელსი ლიმიტედს" ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელების უფლება ეძლევა... კლუბის დანარჩენ აქციონერებთან შეუთანხმებლად, - ნათქვამია "ჩელსი ლიმიტედის" განცხადებაში. ივლისის დასაწყისში აბრამოვიჩმა 60 მილიონ ფუნტად "ჩელსის" აქციების 50,8 პროცენტი შეისყიდა. მაშინვე გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ რომან აბრამოვიჩი დანარჩენი აქციების შეძენასაც გეგმავდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ბარსელონას" ჰოლანდიელ ლეგიონერს პატრიკ კლუივერტს, როგორც იქნა, აშშ-ში ტურნირზე მყოფ თანაგუნდელებთან შეერთების უფლება მიეცა. მოგეხსენებათ, გასულ პარასკევს ამერიკაში, ბოსტონის აეროპორტში ჩასული, კრიმინალური წარსულის მქონე კლუივერტი აშშ-ში შესასვლელი ვიზის უქონლობის გამო, რიგი ფორმალობების მოსაგვარებლად, უკან, ბარსელონაში გაამგზავრეს.

■ ■ ■

კრივი. კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონაში, უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო და მისი მწვრთნელი ფრიც ზდუნეკი, ასევე მძიმეწონოსანი ალექსანდრ დმიტრენკო და ნახევარმძიმეწონოსანი ზოლტ ელდერი ორიოდე დღის წინ ავსტრიის საკურორტო ქალაქ კიცბიუელში ჩავიდნენ. მოკრივეთა ამალა ავსტრიულ ალპებში ორკვირიან შეკრებაზეა, რომლის დასრულების შემდეგაც გერმანიაში დაბრუნდება. უფრო ზუსტად, ვლადიმირ კლიჩკოს და ფაბიო მოლის 30 აგვისტოს ჩხუბამდე ერთი კვირით ადრე.

■ ■ ■

ოლიმპიზმი. ფინანსისტები მიუსხდნენ მაგიდას და დაასკვნეს, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ტელეტრანსლაციით მოგებამ დაახლოებით 730 მილიონი დოლარი უნდა შეადგინოს. ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ათენის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური საიტი "ათენი-2004".

ორგანიზატორთა გათვლით, 2004 წლის აგვისტოში ოლიმპიურ თამაშებს დაახლოებით 12 ათასი ტელევიზიის მოხელე, მათ შორის, კორესპონდენტები, რედაქტორები და ტექნიკური პერსონალი ეწევა. აღსანიშნავია, რომ უმსხვილესმა ტელეკომპანიებმა ათენის ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლება გაინაღდეს. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) და ათენი-2004-ის ორგანიზატორებმა შესაბამისი შეთანხმება ამერიკულ ტელეკომპანია NBC-ისთან და რიგ სხვა მსხვილ კომპანიებთან გააფორმეს.

სკორსეზე წარმოგიდგენთ

ცნობილი გერმანელი რეჟისორი ვიმ ვენდერსი მონაწილეობას მიიღებს ბლუზის ისტორიისადმი მიძღვნილ მარტინ სკორსეზეს პროექტში. სკორსეზე აპირებს გადაიღოს ფილმების სერია სახელწოდებით "მარტინ სკორსეზე წარმოადგენს ბლუზს". ვენდერსს ეკუთვნის ამ ფილმის მეოთხე სერია - "ადამიანის გული". სურათში რეჟისორი მოგვითხრობს სამი ბლუზმენის – სკიპ ჯეიმსის, უილი ჯონსონისა და ჯეი ბი ლენუარის შესახებ. ნამუშევარში კი საარქივო მასალებთან ერთად გამოყენებულია ამ მუსიკოსების სიმღერათა ქავერ-ვერსიები.

ეს ფილმი მელომანების ყურადღებას გამოყენებული მუსიკითაც მიიქცევს. როგორც ცნობილია, "ადამიანის გულის" საუნდთრეკის ჩასაწერად მონაწილეობა მიიღეს: ჯგუფმა "ლოს ლობოსმა", მომღერალმა ბონი რაიტმა, ნიკ ქეივმა, ლუ რიდმა და ა.შ. როგორც გერმანელმა რეჟისორმა ჟურნალ "როლინგსთოუნზისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა, მისთვის ყველაზე შთამბეჭდავი ფილმში მარად მელანქოლიური ნიკ ქეივისა და ლუ რიდის როლები იყო. "ყველანი განცვიფრებულები ვიყავით. ჩვენ გადავიღეთ ბედნიერად მომღიმარი ლუ რიდი, სხვას ვის შეეძლო ეს ყველაფერი ფირზე აღებეჭდა?" რაც შეეხება, მეორე ყველაზე მოღუშულ მუსიკოსს - ნიკ ქეივმა ჩასაწერად თურმე ყველაზე მხიარული სიმღერა შეარჩია მათ შორის, რაც კი ოდესმე შეუქმნია ჯეი ბი ლენუარს. მისი არჩევანი შეჩერდა სიმღერაზე I Feel so Good.

ვენეციის კინოფესტივალის 14 წლის მონაწილე

ვენეციის კინოფესტივალი, რომელიც აგვისტო-სექტემბერში გაიმართება, დებიუტანტების კონკურსში ნამდვილ დებიუტანტს, 14 წლის ირანელი ჰანა მაჰმალბაფას ფილმს "სიგიჟის სიხარულს" წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ არამარტო ზოგადად ირანულმა ფილმებმა, არამედ ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეჟისორ მოჰსენ მაჰმალბაფამ და მისმა ოჯახმა დაიპყრო კანის და ეხლა უკვე ვენეციის კინოფესტივალი. გახსოვთ ალბათ სამირა მაჰმალბაფი, რომლის ფილმმა - "შუადღის 5 საათზე" - პრიზი დაიმსახურა კინოფესტივალზე და ქართველმა მაყურებელმაც იხილა გადაცემა "ფსიქოში", თანაც არ დაგავიწყდეთ სამირა ჯერ მხოლოდ 18 წლის არის. მართალია პატარა დამ ყოველგვარი რეკორდი მოხსნა (14 წლის), თუმცა მას 8 წლის ასაკში უკვე გადაღებული ჰქონდა მოკლემეტრაჟიანი "დღე, როცა ჩემი დეიდა ავად იყო". ფილმი "სიგიჟის სიხარული" კი იმაზე მოგვითხრობს, თუ როგორ იღებდა სამირა "შუადღის 5 საათს" ავღანეთში, სადაც შემთხვევით გადარჩა მოტაცებას. სამირა ძალზედ აქებს პატარა დას, და იმასაც კი ამბობს რომ დის ფილმი მის ფილმსაც და მამამისის "კანდაგარში გამგზავრებასაც" ჯობია. როგორც სჩანს, ირანელებს ძალზედ შეჰყვარებიათ რეჟისორობა. ისე საინტერესოა, კიდევ ხომ არ ჰყავს მოჰსენ მაჰმალაფას ერთი-ორი ქალიშვილი?

ბრუს ლის ქანდაკება ბოსნიაში



გახსოვთ "დიდი ბოსი", "სიკვდილთან თამაში" - ბრუს ლი? აღმოსავლური ორთაბრძოლის დიდი ოსტატი, რომელიც 1973 წლის 20 ივლისს გადასაღებ მოედანზე დაიღუპა. ერთ-ერთი იმ პირველი არატიპიური ჰოლივუდელი მსახიობთაგანი, რომელმაც სულ რაღაც 2 წელიწადში შეძლო დიდ ჰოლივუდურ სისტემაში შეღწევა და საკუთარი ადგილის (თუნდაც უმნიშვნელოს) დამკვიდრება და რომლის საქმესაც დღეს ჩინელი ჯეკი ჩანი აგრძელებს. მსოფლიოს კი, როგორც ჩანს, ახსოვს მსახიობი და გარდაცვალებიდან 30 წლის აღსანიშნავად, პარიზი მაყურებელს მის მიერ შესრულებული ფილმების რეტროსპექტივას სთავაზობს, ხოლო ბოსნიის ქალაქ მოსტარის მცხოვრებლები ე.წ. "პატარა დრაკონის" ძეგლის დადგმას აპირებენ. როგორც მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, ეს მონუმენტი კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველას, რომ ბალკანეთის სამოქალაქო ომის დაწყებამდე ბედნიერად ცხოვრობდნენ და საკუთარი გმირებიც ჰყავდათ.

ლუჩანო პავაროტის პარტნიორი საქართველოდან

ელისაბედ მარტიროსიანი მსოფლიო საოპერო სცენას იპყრობს

პირველი გვერდიდან

თბილისში ელისაბედი ცნობილი მომღერლისა და პედაგოგის, პროფესორ ნოდარ ანდღულაძის კლასში სწავლობდა. **"ლიზა მარტიროსიანს ძალზედ მჟღერი, მოქნილი ხმა აქვს.** – აღნიშნავს წარმატებულ სტუდენტზე საუბრისას მაესტრო ანდღულაძე. **- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მღერადობის უნარი, შეიძლება ითქვას – მელოდიური ხმა. მას თავიდანვე გააჩნდა დახვეწილი, უტყუარი მუსიკალური გემოვნება, შესანიშნავი ფრაზის გრძნობა, სტილისტიკის შეგრძნება. მის შესრულებაში ვერ ნახავთ ვერაფერს ვულგარულს, ხელოვნურს, მისი სიმღერა ყოველთვის შინაგანად გამართლებულია... ბოლო დროს კი იგი ძალიან გაიზარდა მხატვრული თვალსაზრისით. 26 წლის ასაკში იგი მღერის ისე, როგორც დასრულებული, გამოცდილი მომღერალი"**

პირველი სოლო კონცერტი ლიზა მარტიროსიანმა თბილისში, ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტობისას გამართა კონცერტმეისტერ ირინა სხირტლაძესთან ერთად, რომელიც ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობს გერმანიაში. მეორე ადგილი მოიპოვა შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსზე და მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის ცნობილ კონკურსზე კონცერტმეისტერ თემურ ელიავასთან ერთად გაემგზავრა. ამჯერად იგი სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს, როგორც კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე. ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ბარსელონაში ფრანცისკო ვინიასის სახელობის კონკურსზე მიღებული პრიზი, რომლის წყალობითაც მუსიკოსმა ორთვიანი სტიპენდია მიიღო იტალიაში, სიენას აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. აქ ლიზა მარტიროსიანს ისეთი დიდი მომღერლები უწევდნენ ხელმძღვანელობას, როგორებიც შირლი ვერეტი და რაინა კაბაივანსკა არიან. ეს უკანასკნელი იმდენად დაინტერესდა ახალგაზრდა მომღერლით, რომ კურსის დამთავრების შემდეგ კიდევ ერთი თვით გააგრძელა მასთან მუშაობა.

რაინა კაბაივანსკამ დიდი როლი ითამაშა ახალგაზრდა სოპრანოს წინსვლაში. თვად ნოდარ ანდღულაძემ, რომელიც კაბაივანსკასთან ერთად სწავლობდა და მეგობრობდა, მისწერა გამოჩენილ მომღერალს. ეს უკანასკნელი ძლიერ დაინტერესდა ნიჭიერი მომღერლით. იგი მარტიროსიანს რეგულარულად რთავდა საკუთარ საკონცერტო პროგრამებში. მისი რეკომენდაციით ლიზა ვაშინგტონში, "დომინგო ოპერალიას" კონკურსზე გაემგზავრა, რომელსაც გამოჩენილი მომღერალი პლაჩიდო დომინგო ხელმძღვანელობს. კონკურსზე მონაწილეობისთვის 900 განაცხადი იყო შეტანილი, საბოლოოდ, მასზე მხოლოდ 40 მონაწილე დაუშვეს. ლიზამ ყველა ტური გაიარა და ფინალში მაყურებლის სიმპათიის პრიზი დაიმსახურა. კონკურსის მსვლელობისას მომღერალმა თავად დომინგოს დიდი სიმპათია და ყურადღება დაიმსახურა. კონკურსის შემდეგ მან დომინგოსთან ერთად გალა-კონცერტში მონაწილეობის მოწვევა მიიღო, თუმცა საბოლოოდ, ამ უკანასკნელს იგი სავიზო პრობლემის გამო გამოაკლდა.

ლიზა და დომინგო

ლიზა და მისი აღმზრდელი ნოდარ ანდღულაძე

ლიზა და პავაროტი

კონკურსამდეც და კონკურსის შემდეგაც ლიზა მარტიროსიანი რეგულარულად მართავდა კონცერტებს იტალიასა და ესპანეთში. კაბაივანსკამ იგი ლუჩანო პავაროტის კონცერტმეისტერს ლეონე მაჯერას წარუდგინა. ამ უკანასკნელმა 3 თვე ამეცადინა ახალგაზრდა სოპრანო და შემდეგ თავად პავატორის გააცნო. პავაროტიმ საკუთარი სიმპათია საქმით დაადასტურა. ახალგაზრდა მომღერალთან მან საკონცერტო პროგრამა მოამზადა, რომელიც სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წელს, მარტში ლოს ანჟელესში უნდა შეესრულებინათ. ამ კონცერტს ერაყში განვითარებულმა მოვლენებმა შეუშალა ხელი. სამაგიეროდ, ერთობლივი საქველმოქმედო კონცერტი მათ ცოტა ხნის წინათ ჩეზენაში, ალესანდრო ბონჩის სახელობის თეატრში გამართეს. კონცერტს დიდი წარმატება ხვდა წილად.

ლიზა მარტიროსიანის რეპერტუარი ამჟამად თითქმის ყველა ეპოქისა და სტილის კომპოზიტორთა შემოქმედებას მოიცავს - "პერიდან – ბერსტაინამდე" – როგორც ნოდარ ანდღულაძე აღნიშნავს. ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას მან ოპერის თეატრში ადინას პარტია შეასრულა "სიყვარულის ნექტარში", ასევე მოამზადა ვიოლეტას პარტიაც. მართალია, თბილისში ვეღარ მოასწრო ამ პარტიის შესრულება, სამაგიეროდ, უცხოეთში გამოადგა. იტალიური პრესა "ტრავიატას" მისეულ შესრულებას მაღალ შეფასებას აძლევს და ხაზს უსვამს თბილისელი მომღერლის **"სოლიდურ ვოკალურ ტექნიკასა და საიმედო დინამიკურ კონტროლს"**.

ამჟამად ლიზა მარტიროსიანი იტალიაშია და მომავალი კონცერტებისა და სპექტაკლებისთვის ემზადება. ახალგაზრდა სოპრანოს სამომავლო გეგმებში მაესტრო ანდღულაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის მონაწილეობას როსინის ფესტივალში, პეზაროში. ამ უკანასკნელზე მხოლოდ საუკეთესო ახალგაზრდა მომღერლებს იწვევენ. თავის დროზე მასში მონაწილეობა კიდევ ერთ ქართველს – იანო ალიბაგაშვილსაც აქვს მიღებული. სასიხარულოა, რომ წელს როსინის ფესტივალში ლიზას გარდა, ნოდარ ანდღულაძის კიდევ ერთი აღზრდილი – რამაზ ჩიკვილაძეც მიიღებს. ისინი როსინის ოპერაში "მოგზაურობას რეიმსში" შეხვდებიან. ამ ოპერის შესრულება საკმაოდ იშვიათია, იგი ვენეციის ბიბლიოთეკაში ცნობილმა დირიჟორმა კლაუდიო აბადომ აღმოაჩინა.

ბუნდოვანი მედიტაცია ბობ დილანის თემაზე

ბობ დილანი

როდესაც რობერტ ალტმანის ვარსკვლავებით გადატვირთული ფილმი "მაღალი მოდა" გამოვიდა დიდ ეკრანზე, კინოკრიტიკოსებმა კიდევ ერთხელ დაასკვნეს, რომ ერთ ფილმში ბევრი ცნობილი სახის თავმოყრა არ ამართლებს; იკარგება ფილმის იდეა, მხატვრული ღირებულება და მსახიობებიც ვერ თამაშობენ.

"შენიღბულნი და ანონიმურები" – ასე ჰქვია ვარსკვლავებით გადატვირთულ მორიგ პროექტს, რომელიც "მაღალი მოდისგან" განსხვავებით დებიუტანტმა რეჟისორმა ლერი ჩარლზმა გადაიღო და რომლის დაწუნებაც სოლიდურმა გაზეთებმა უკვე მოასწრეს. ჩარლზი აქამდე წარმატებული ტელე-შოუებისთვის, ძირითადად კი, სიტკომებისთვის წერდა სცენარებს. ახალი ფილმის სცენარიც მას ეკუთვნის, თუმცა მასში თავისი წვლილი შეიტანა ბობ დილანმაც. დილანი ხანდაზმული როკერის ჯეკ ფეიტის როლს ასრულებს. მას პარტნიორობას უწევენ პენელოპა კრუსი, ჯესიკა ლანჟი, ედ ჰარისი, მიკი რურკი, ჯეფ ბრიჯესი, ანჯელა ბასეტი, ველ კილმერი, კრისტიან სლეიტერი, ლუკ ვილსონი – ანუ, იმ მსახიობების უმრავლესობა, რომლებიც არა მხოლოდ ვარსკვლავები, არამედ კარგი არტისტებიც არიან. არადა, როგორც ჩანს, ახალ ფილმში შესაძლებლობების მაქსიმუმს მაინც ვერ ავლენენ და "ნიუ იორკ ტაიმსიც" წერს: "ფილმში წარმოუდგენლად ბუნდოვანი ქაოსი სუფევს". "ლოს ანჯელეს ტაიმსის" მიმომხილველი კი დასძენს: "ჩანს, ოპერატორი შესანიშნავად მუშაობდა, ფილმის თანმხლები მუსიკაც შესანიშნავია, მაგრამ დიალოგებია ისეთი ჩახლართული და უაზრო, პენელოპა კრუსი და ედ ჰარისიც ისე ცუდად თამაშობენ, რომ საბოლოო ჯამში შედეგად ვიღებთ პრეტენზიულ თავის ქებას".

ასე რომ, გასაკვირი არ არის, თუ "შენიღბულნი და ანონიმურები", ჯერჯერობით, დიდად შემოსავლიანი ფილმი არ გახლავთ. თუმცა, მას მაყურებელიც მაინც ჰყავს. როგორც ჩანს, ვარსკვლავების იმიჯი მაყურებელზე დღემდე მუშაობს და ისინიც კინო-თეატრებში სწორედ ერთ ფილმში თავმოყრილი საყვარელი მსახიობების სანახავად მიდიან.

ფილმი მოგვითხრობს როკმუსიკოსის შესახებ, რომელსაც ციხიდან გამოიხსნიან და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მის სცენაზე დაბრუნებას საქველმოქმედო კონცერტზე მოაწყობენ. როკერის გამოჩენამ კვლავაც მშვიდობა უნდა მოუტანოს ომებითა და შურით შუაზე გახლეჩილ ქვეყანას, – დაახლოებით ასეთია სურათის შინაარსი, რომელიც ხანდახან ძალიან ფილოსოფიური და სიმბოლური, ხანდახან კი – უბრალოდ ძალზე ჩახლართული დიალოგებითაა გადატვირთული. ფილმში საუბრობენ ყველაფერზე, ცელულოზეც კი. კერძოდ კი, ბობ დილანი ამბობს: "ძროხები მას ინელებენ. მაგრამ შენ ეს არ შეგიძლია და არც მე". – ამ პატარა ეპიზოდმა "ნიუ იორკ ტაიმსის" მიმომხილველი ისე გააღიზიანა, რომ ფრაზა თვითონ ფილმს მოარგო და შეეცადა, მკითხველიც დაერწმუნებინა, რომ "შენიღბულებსა და ანონიმურებს" ვერც ისინი "მოინელებენ". სწორედ ამ დიალოგების გამო კრიტიკოსები ასკვნიან, რომ ფილმი თავის თავში აერთიანებს ძმები კოენების სტილსა და გარსია მარკესის მაგიური რეალიზმის ელემენტებს და მაყურებელს არ აძლევს საშუალებას, სიუჟეტში ბოლომდე გაერკვეს.

და რახან ამ ახალი ვარსკვლავური პროექტის ერთადერთ დადებით მხარედ მუსიკას ასახელებენ, მოდით, ორიოდე სიტყვა მასზეც ვთქვათ. ცხადია, ალბომის ჩაწერა ბობ დილანმა აიღო საკუთარ თავზე. კომპაქტში შესულია მისი 14 სიმღერა, მათგან ოთხი საგანგებოდ ფილმისთვის დაიწერა, დანარჩენებს კი მსმენელი კარგად იცნობს. ბობ დილანის გარდა ალბომში "გრეითფულ დედი", ჯერი გარსია და სხვა შემსრულებლებიც მონაწილეობენ. ფილმის გამოსვლისთანავე მაღაზიებში გამოჩნდა ეს ალბომიც, რომელზე ნადირობაც დილანის ერთგულმა ფანებმა უკვე გააჩაღეს.

ასე რომ, ბობ დილანი ის ფიგურაა, რომლის გაკრიტიკებაც ჟურნალისტებმა ვერ გაბედეს. ყველაზე დაუნდობელი კრიტიკოსიც კი წერდა, რომ დილანი მთელ ამ აურზაურზე მაღლა დგას. საერთოდაც, ფილმი სწორედ მის იდუმალებით სავსე, გამოუცნობ პიროვნებას ეძღვნება; სურათი გახლავთ ერთგვარი მედიტაცია დიდი მუსიკოსის შესახებ. მიუხედავად კრიტიკსა, "ნიუ იორკ ტაიმსის" მიმოხილვაც ფილმის შესახებ სევდიანი ტონით მთავრდება. ჟურნალისტი წერს: "ფილმის ბოლოს დილანი (უფრო ზუსტად ჯეკ ფეიტი) ავტობუსში ზის და ხმამაღლა ფიქრობს, თუ რას მოასწავებს ესა თუ ის მოვლენა ცხოვრებაში, და თან უსმენს თავისივე ჰიტს Blowin' in the Wind. და მართლაც, ჩემო მეგობარო, მას შემდეგ არაფერი შეცვლილა – ყველაფრის პასუხი ისევ და ისევ ქარს მიაქვს"... ასეთი კლასიკური-დილანისეული დასასრული აქვს ლერი ჩარლზის დებიუტს დიდ კინოში, რომელიც უამრავი ვარსკვლავით აღინიშნა და რომელიც საკუთარ მაყურებელს აუცილებლად იპოვის.

გაურკვეველი მოდა

თბილისში ბერგერის ორთვიანი ფესტივალი იწყება

ვერა ნეფარიძე

დღეიდან კლუბი "16 რაუნდი" კიდევ ერთ ფესტივალს შეიკედლებს. სექტემბრის ბოლომდე აქ, ღია ცის ქვეშ მოდის საღამოები გაიმართება. ღონისძიების ორგანიზატორი თბილისში კარგად ცნობილი დიზაინერი ზალიკო ბერგერია, მონაწილეთა ზუსტი რაოდენობა და შემადგენლობა კი თავად ორგანიზატორისთვისაც არ არის ცნობილი. დღეს ფესტივალი ახალგაზრდა თბილისელი დიზაინერის სალომე სულაბერიძის ახალი კოლექციის ჩვენებით გაიხსნება.

თბილისში ბოლო დროს განსაკუთრებით მომრავლდა არაორგანიზებული თუ ცუდადორგანიზებული (პრინციპში, ალბათ ერთი და იგივე ცნებაა) ღონისძიებები. ვიღაცეებს მოუნდებათ სხვადასხვა კულტურული თუ გასართობი საღამოების მოწყობა, მართავენ პრესკონფერენციებს (აუცილებლად წინასწარ) და აღმოჩნდება, რომ სათქმელი არაფერი აქვთ. ან, უკეთეს შემთხვევაში, მათი სათქმელი არაა იმაზე მეტი, რაც პრეს-რელიზებად წოდებულ ფურცლებზე წერია ხოლმე (ამ პრეს-რელიზების ტექნიკურ ხარვეზებზე – როდესაც გვარები არასწორადაა მითითებული და ა.შ, - აღარაფერს ვამბობ). სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს ასეთი ღონისძიებები არ გვხვდება გამონაკლისთა შორის. ამაში კიდევ ერთხელ გუშინ დავრწმუნდი.

ბერგერი მოდის ორთვიან ზეიმს გვპირდება

ქართული ნაცნობობის წყალობით, კარგა ხანია ბევრისთვის აღარაა პრობლემა ჟურნალისტების შეკრება. ამიტომაც არ გამკვირვებია, როდესაც გუშინ კლუბ "16 რაუნდში" დაგეგმილ პრესკონფერენციაზე ნაადრევად გამოჩნდნენ მასმედიის წარმომადგენლები (ნიშანდობლივია, რომ როდესაც შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები მართავენ პრესკონფერენციებს, აქ ორჯერ მეტი ჟურნალისტი თუ ჟურნალისტის ამპლუაში მყოფი მათი მეგობარი იკრიბება, ვიდრე თუნდაც კარგ კულტურულ ღონისძიებაზე). ამ შემთხვევაში ქართულ მასმედიას არაპუნქტუალობას ვერ დასწამებენ, რასაც ვერ იტყვი ორგანიზატორებზე. მაგალითად, გუშინდელი პრეს-კონფერენციის ორგანიზატორები თითქმის ერთსაათიანი დაგვიანებით მოვიდნენ კლუბში. თუმცა, თავისუფლად შეეძლოთ არც მოსულიყვნენ, მათ ხომ თითქმის არაფერი უთქვამთ იმაზე მეტი, რაც მანამდე ადგილზე მისულმა ჟურნალისტებმა დარიგებული პრეს-რელიზებიდან შეიტყვეს?! გასაგებიც ბევრი არაფერი იყო. უბრალოდ, დიზაინერმა ზალიკო ბერგერმა გადაწყვიტა "16 რაუნდის" დახმარებით გამართოს მოდის საღამოები (ე.წ. "ორთვიანი ფეშენ ფართი") დარჩენილი ზაფხულისა და მთელი სექტემბრის განმავლობაში. რასაკვირველია, ერთი შეხედვით იდეა ცოტა გრანდიოზული ჩანს და აქედან გამომდინარე, შეკითხვაც უამრავი იბადება, თუმცა, ჯერჯერობით თურმე არაფერია გადაწყვეტილი. დაზუსტებულია მხოლოდ: საღამოები 8 აგვისტომდე (კლუბში ამ დრომდე გაგრძელდება ვანიკო თარხნიშვილის ფესტივალი "საუკუნე ოც დღეში") გაიმართება სამშაბათობით, შემდეგ კი – ყოველ პარასკევს.

როგორც ორგანიზატორთა გუშინდელი საუბრიდან გავარკვიეთ, ფესტივალი სექტემბერში უფრო დატვირთული იქნება. ამ დროისათვის "ფეშენ ფართის" მოსკოვიდან ესტუმრებიან – მათ შორის იქნება მომღერალი თეონა კონტრიძე; ასევე, ნავარაუდევია აზერბაიჯანელი დიზაინერის ლეილა ახმედოვას ჩამოსვლაც. თუმცა, ვის წარადგენენ მანამდე "16 რაუნდში", ეს ჯერ არავინ იცის. ზალიკო ბერგერის თქმით, ორგანიზატორებს სურთ ფესტივალზე წარმოადგინონ საკუთარი კოლექციები სხვადასხვა თბილისური "ბუტიკების" მფლობელებმა, დაგეგმილია ცნობილი ქართველი დიზაინერების კოლექციების ერთობლივი ჩვენებები, თუმცა არც ამ დიზაინერების ვინაობა გაგვაცნეს. როგორც გვითხრეს, მოლაპარაკებები მათთან ჯერ არ დასრულებულა. საბოლოო ჯამში კი, ყველაფრის მიუხედავად, ფესტივალის ორგანიზატორები მაინც არწმუნებენ ადგილობრივ საზოგადოებას, რომ ზაფხულის განმავლობაში უკეთესი გასართობი ადგილი საღამოობით თბილისში სხვაგან არ იქნება. მოკლედ, ვისაც ძალიან არ ეზარება , ღირს მოსინჯოს – დღეს "16 რაუნდში" ახალგაზრდა დიზაინერი სალომე სულაბერიძე აჩვენებს თავის ახალ კოლექციას. ჰო, მართლა, როგორც გვითხრეს, თეატრალიზებული ჩვენების რეჟისორიც ახალგაზრდა დიზაინერი იქნება.

ჯესიკა ლანჟი

ბრძოლა რაფაელისთვის

BBC-ის ცნობით, ბრიტანული ფონდი "მემკვიდრეობა", რომლიც ქვეყნის მთავარი ლატარეის სახსრებს განაგებს, საციონალურ გალერეას 11,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს გამოუყოფს რაფაელის "მადონას" გამოსასყიდად.

ნორტუმბერლენდის ჰერცოგის კუთვნილი ნამუშევარი მუზეუმის დროებით ექსპოზიციას 1991 წელს გადაეცა. მაგრამ ცოტა ხნის წინათ ბრიტანელმა ლორდმა განაცხადა, რომ რაფაელს 29 მილიონ გირვანქა სტერლინგად ლოს ანჟელესის გეტის მუზეუმს მიჰყიდის (ტელეკომპანია Sky სხვა თანხას – 23 მილიონს ასახელებს).

დიდგვაროვანს ფული თავის საგვარეულო სასახლის, ალნვიკის, სხვა სავარგულებისა და ფერწერის კოლექციის შესანახად დასჭირვებია – ყველაფერ ამას ყოველწლიურად ათასობით დამთვალიერებელი ჰყავს. მიუხედავად ამისა, მთავრობამ 27 აგვისტომდე ნამუშევრის ქვეყნიდან გატანა აკრძალა. ამ დროისათვის საციონალურმა გალერეამ თავად უნდა მოიპოვოს სათანადო თანხა იმისთვის, რომ ეს პაწაწინა ტილო (28,5 X 22,5) მუზეუმში დაცულ რვა დანარჩენ რაფაელს შეჰმატოს.

"ეს "მადონას" დიდ ბრიტანეთში დატოვებისა და ჩვენი შესანიშნავი ეროვნული კოლექციის ამგვარად გამდიდრების ერთადერთი შანსი იყო, და მისი ხელიდან გაშვება არ გვინდოდა," განაცხადა სპონსორი ფონდის თავმჯდომარემ, ლიზ ფორგანმა.

თავდაპირველად გალერეას ფონდისგან 20 მილიონი გირვანქა სტერლინგის მიღება უნდოდა. მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ 9,5 მილიონი გირვანქა სტერლინგის დამატებით მოპოვებას ნამდვილად შეძლებენ, 21 მილიონი კი, მათი აზრით, ნამუშევრის გამოსასყიდად სავსებით საკმარისი თანხაა. გარდა ამისა, შესანირავი მუზეუმის დამთვალიერებელთაგანაც შემოდის, პირველი 400 ათასი გირვანქა სტერლინგი კი ხელოვნების საციონალური კოლექციის ფონდმა გასცა.

ნამუშევარი, რომლის გამოც ასეთი დავიდარაბაა ატეხილი, აღორძინების ხანის ღვთისმშობლის ერთერთ ყველაზე პატარა გამოსახულებად ითვლება.

TV პროგრამა
29 ივლისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.25** სერიალი „კომპიუტერული ომები“ **08.50** სერიალი „ბურატინოს თავგადასავალი“ **10.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.10** სერიალი „ჯაშუში“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი „ასულ ტეკილა“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „კომპიუტერული ომები“ **18.45** დოკ. ფილმი „ბუნება“ **19.15** პერეკროსტოკი **19.40** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა“ **22.00** სერიალი „კომისარი მონტალბანო“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ.ფილმი „გამგზავრება ამერიკაში“. მთ. როლებში: ედი მერფი, არსენიო ხოლი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა“ **10.10** მხ. ფილმი „სამოთხის ძიებაში“ **11.45** დოკ.სერიალი „ამსტერდამის ზოოპარკი“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ლერერის შოუ **14.00** სერიალი „ქალთა სავანე“ მე-5 ს. **15.15** მხ. ფილმი „ბიჭები არ ტირიან“ **16.50** ტელესერიალი „ძილის წინ“ **17.05** შემეცნ. ფილმი „ქვეყანა, ქვეყნები“ **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.25** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.00** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **21.55** „ჩვენი ფეხბურთი“ **22.35** ტელესერიალი „ძილის წინ“ **23.00** „რა ხდება?“ **00.00** მხ. ფილმი „ბედის საჩუქარი“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „გზა შინისკენ - სან-ფრანცისკოში დაკარგულები“ **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** „ბრავო“ „როცა გრძნობ მინესოტას“ მთ. რ-ში კიანუ რივზი, კამერონ დიასი. **01.40** „ღამურა“ „ლეკ პლესიდი-შიშის ტბა“ მთ. რ-ში ბილ პულმანი, ბრიჯეტ ფონდა. **03.45** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი „რვაფეხა“ **20.30** დოკ. ფილმი **20.45** ოქტაგონი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი „უკვე მკვდარი“.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „მამაცი გული“ **15.00** მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „შფოთის თავები 2“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „60 მილიონის ღირებულების ოპერაცია“ **22.30** მხ. ფილმი „სახლი თურქულ ქუჩაზე“.

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** ბურთი და მოედანი **10.50** მხ. ფილმი „შერეკილთა ქვეყანა“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **14.50, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „ითამაშე ზიზუსავით“ **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. „დიდი უსიამოვნებანი“ **22.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „დიალოგი“ **01.10** ღამის ფილმი.

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00** სერიალი „ჯონ როსი“ **10.25** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“ **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **12.00, 15.15, 17.50, 19.50** მუსიკა **12.15** მხ. ფილმი „წმინდანი“ **14.00** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** ღლის ამბები **14.50** მულტფილმი „ტომი და ჯერი“ **15.30** მხ. სერიალი „ციებ-ცხელება“ **16.30** დოკ. სერიალი „წარსული და ამჟამი“ **18.05** სერიალი „ჯონ როსი“ **18.25** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“ **19.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **20.00** დოკ. სერიალი „კუდიანი ამბები“ **21.15** სერიალი „ციებ-ცხელება“ **22.25** „ტელემეტრი“ **22.45** მოკლ. მხ. ფ. „კოსმიური მაიმუნი“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.20** მხ. ფილმი „დისშვილი“.

იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისთვის“ **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია“ **15.15** მხ. ფილმი „სტუმრები წარსულიდან“ **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.30** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები“ **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია“ **23.00** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **23.55** მძაფრსიუჟეტიანი კინო „სადისციპლინო ბატალიონი“ **02.00** ქრონიკა.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** საბავშვო ფილმი „ჰაერის მეფე“ **10.40** ვიდეოარტი **10.45** ფილმი-კატასტროფა „შტორმი“ **12.10** მხატვრული ფილმი „ამელი“ **14.10** მუსიკა **14.25** მხატვრული ფილმი „დიდი ბოსი“ **16.10, 19.10, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **16.20** მულტსერიალი **17.25** მელოდრამა „მის დალლუეი“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.40, 22.50** „Пресс-папье“ **19.45, 01.00** მუსიკა **20.15** მხატვრული ფილმი „პირადი მცველი“ **22.55** „რა არ ხდება“ **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.15** თრილერი „ცუდი კომპანია“ **03.20** დოკუმენტური ფილმი **04.25** კომედია „დასაკარგი არაფერია“

VII არხი

09.10 მელოდია **09.25** „აჩიკუდა“ **09.50** „ბედნიერი ერი“ **09.55** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.20** მელოდია **10.30** მობილურები **11.20** მელოდია **11.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.25** კომპიუტერული თამაშები **12.35** დისნეი და მისი მეგობრები **12.55** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **21.00** იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლები **21.20** კომპიუტერული თამაშები **21.30** დოკ.ფილმი „ბრძოლა წესების გარეშე“ **21.50** მობილურები **22.35** „კინოკლუბი“ - „ნიუ-იორკის მეფე“. მაფია . რეჟ: აბელ ფერარა. როლებში: კრისტოფერ უოლკინი, უესლი სნაიპსი. **00.10** მელოდია **00.20** ტელესერიალი - „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე“ - მე-2 სერია **01.00** აუდიო-ვიდეო-ტელე **01.50** მელოდია.

ОРТ

07.00 „Доброе утро!“ **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00** **Сериал „Земля любви, земля надежды“** **11.05** **Худ.фильм „Королева Марго“** **12.05** „Сами с усами“ **12.35** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом“ **13.15** **Худ.фильм „Ищи ветра...“** **14.45** **Сериал „Ваш ход, инспектор“** **15.40** „Непутевые заметки“ **16.20** Док.сериал „Дикие штучки“ **16.45** **Худ.фильм „Семья полицейских: Новое расследование“** **18.30** Док. детектив „Разгром Бауманской группировки“ **19.20** „Шутка за шуткой“ **19.55** **Худ.фильм „Ниро Вульф и Арчи Гудвин“** **22.00, 00.30** „Время“ **22.30** **Сериал „Зверь из бездны“** **23.35** **Сериал „Шпионка“** **01.00** „На футболе“ **01.30** „Русский экстрим“ **02.00** **Боевик „Тени воинов: Атака на остров Дьявола“.**

РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55** **Сериал „По имени Барон...“** **10.40** **Худ.фильм „И снова Анискин“, 3 с.** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** **Ток-шоу „Короткое замыкание“** **13.20** **Детектив „Марш Турецкого 2“.** „Цена жизни - смерть“, 1 с. **14.15, 17.45** „Экспертиза“ **14.30, 18.50, 02.00** Дорожный патруль **14.45** Вести - Москва **15.20** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.10** **Сериал „Семейные тайны“** **17.15** **Сериал „Простые истины“** **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **19.05** Вести-спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50** **Сериал „Комиссар Рекс“** **21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **23.00** **Детектив „Марш Турецкого 2“.** „Цена жизни - смерть“, 2 с. **01.00** **Худ.фильм „История Диллинджера“** **02.15** „Горячая десятка“ **03.10** **Сериал „Бетти“** **04.00** **Сериал „Гросс-Пойнт“.**

НТВ

07.00 „Утро на НТВ“ **10.10** **Сериал „Жил-был я...“** **11.00** „Сегодня утром“ **11.20** **Худ.фильм „Мишель“** **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.50** „Сегодня“ **13.35** Ток-шоу „Страна советов“ **14.35** **Сериал „Шатун“, 1 с.** **15.45** „Криминал“ **16.35** **Сериал „Семнадцать мгновений весны“** **18.25** **Сериал „Скорая помощь 2“** **19.25** Док. драма „Преступление и наказание“ **20.35** **Сериал „Улицы разбитых фонарей“** **21.50** **Сериал „Шатун“, 2 с.** **23.00** „Страна и мир“ **23.30** **Сериал „Клан Сопрано“** **01.40** **Сериал „Улицы разбитых фонарей“** **02.10** „Гордон“.

გერმანიის ყველაზე ეროტიკული ქალი

ჰაიდი კლუმის ახალი გამარჯვებები

სოფი დალი

ჰაიდი კლუმი

სიტყვათშეთანხმება “თავრუდამხვევი კარიერა” საუკეთესოდ შეესაბამება გერმანელ მოდელ ჰაიდი კლუმს, რომელიც პოპულარობით და თაყვანისმცემელთა რაოდენობით ყველაზე სახელგანთქმულ კინოვარსკვლავებსაც არ ჩამოუვარდება.

თავისი წინსვლის დროს ჰაიდიმ მრავალი მოდელისთვის მოახერხა ნერვების მოშლა. ჯერ იყო და ნაომი კემპბელის ყოფილ მეგობართან, ფორმულა-1-ის "რენოს" გუნდის შეფ ფლავიო ბრიატორესთან ჰქონდა რომანი. ახლა კი კიდევ ერთი ცნობილი მოდელი, სოფი დალი დაჩაგრა.

სოფი დალი მრავალი წლის განმავლობაში იყო ლეგენდარული ბრიტანული კომპანიის, Pringle-ის სახე. უნდა ითქვას, რომ სულ ცოტა ხნის წინათ Pringle მაინცდამაინც პოპულარული არ იყო, ითვლებოდა, რომ მისი ნაწარმი მხოლოდ სპორტისთვის იყო გამოსადეგი. ამჟამად ის მთელს მსოფლიოში შესანიშნავად იყიდება. ეს მოსახერხებელი, პრაქტიკული და შედარებით იაფფასიანი მოდერნიზებული კოლექციების წყალობაა და, ცხადია, საუკეთესოდ გააზრებული სარეკლამო კამპანიების დამსახურებაც. ბოლო დროს ამ კომპანიის თაყვანისმცემელთა რიგებში ბექჰემები და ჯოდი კიდიც კი აღმოჩნდნენ.

ალბათ ამან განაპირობა ის, რომ როგორც კი Pringle-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, კიმ უინსლერმა თანამშრომლობა შესთავაზა, ჰაიდი კლუმმა უმალვე განაცხადა თანხმობა და უმალვე კონტრაქტსაც მოაწერა ხელი.

ასე რომ, ფოტოგრაფ რანკინის სურათებზე ამჯერად ქაშმირის ნაწარმს შიშველი და მომხიბვლელად მოღიმარი ჰაიდი კლუმი უწევს რეკლამას.

“ძალიან კარგი გოგოა, მაგრამ ერთობ თავნებაა,” ასეა დახასიათებული ახალი სახე კომპანიის პრეს-რელიზში, ”Pringle-მა ჰაიდი ახალ სახედ სწორედ ამ თავხედური სტილის და არაჩვეულებრივად ღამაზი კიდურების გამო აირჩია. ყველაფერი ეს იდეალურად შეეფერება ქალს, რომელსაც ქაშმირი უნდა ემოსოს”.

ის, რომ ჰაიდის, “გერმანიის ყველაზე ეროტიკული ქალის” სარეკლამო კამპანიისთვის მოზიდვა წარმატების საწინდარია, უკვე მრავალმა ფაქტმა ნათელყო: თუნდაც H&M-ის საცურაო კოსტუმების კოლექციის გაუგონარი წარმატება რად ღირს! გარდა ამისა, ჰაიდი გერმანულ ფეხსაცმლის მწარმოებელ კომპანია Birkenstock-თანაც თანამშრომლობს. რეკლამის გარდა, მან საკუთარი დიზაინის სანდლების შექმნასაც მიჰყო ხელი, რომელთაც უკვე მთელს მსოფლიოში ცნობილ ლოგოტიპთან ერთად მოდელის ავტოგრაფიც დაამშვენებს. მოდელის მამა, გიუნტერი მოყვა, ჩემს გოგოს Birkenstock-ის სანდლები ძალიან უყვარს, საყიდლებზე რომ მიდის, სულ ბირკენშტოკები აცვია ხოლმეო.

ბირკენშტოკის სანდლები ჰაიდისაც ჰყვარებია

Pringle-ში მომხდარი “საკადრო ცვლილებებით” მისი ყოფილი სახე, სოფი დალი, ცხადია, ძალიან უკმაყოფილოა. აქამდე ბრიტანულ სახლს ყველა სარეკლამო პროექტში სწორედ ის წარმოადგენდა. თავის დასამშვიდებლად სოფიმ თქვა, რომ უკვე დიდი ხანია მოდელობისთვის თავის დანებებას აპირებს და თავი კინოსა და ლიტერატურას უნდა მიუძღვნას.

სოფიმ კინოში აქამდეც ითამაშა, მთავარი როლი შეასრულა ლორი კოლუინის რომანის, “სხვა განსაცვიფრებელი რამ”-ის მიხედვით გადაღებულ ფილმში “საყვარელი”, სადაც მას პარტნიორობას ადამ გარსია უწევდა. გადრა ამისა, მას “ბონდის გოგოს” როლსაც სთავაზობდნენ, მაგრამ ამ წინადადებაზე ეთიკური მოსაზრებების გამო განაცხადა უარი. საქმე ის გახლავთ, რომ დალის დედა, ტესა, კომიკოს პიტერ სელერსის სატრფო ყოფილა, და სოფის მისი საყვარლის როლის თამაში არ უნდოდა,

მაგრამ კლუმმა აქაც არ გაახარა, და სოფი დალს Pringle-ის სარეკლამო კამპანიის გარდა სხვა მხრიდანაც მიაყენა დარტყმა: გადაწყდა, რომ მსახიობის, რეჟისორისა და მომღერლის, პიტერ სელერსის ცხოვრების ამსახველ კინოსურათში ის ურსულა ანდრესის როლს ითამაშებს, რომელზეც უწინ სოფი იყო დამტკიცებული.

ევროპის უმაღლესი წერტილიდან ჩამოტანილი არომატი

ინდივიდუალური მამაკაცებისთვის

თამარ ბაბუაძე

ყველაზე პოპულარული გარიგება ამ ბოლო პერიოდში მადრიდში შედგა. შესაბამისად, ყველაზე პოპულარულ ხელმონერაც ამ ქალაქში დაფიქსირდა – დევიდ ბექჰემმა კმაყოფილი სახით გადახედა დოკუმენტებს და შემდეგ ათასი კამერის და ფოტო-ობიექტივის წინ ცერემონიულად მოაწერა ხელი “რეალ მადრიდში” გადასვლის ფურცელს...

არავინ იცის, რა ფირმის კალმით მოხაზა საკუთარი გვარი ბექჰემმა დოკუმენტზე, მაგრამ ფაქტია – “მონბლანის” ხელმძღვანელობას სულაც არ მოეწონებოდა, რომ ბოლო დროის ყველაზე პოპულარული(!) კონტრაქტი მათ მიერ გამოშვებული კალმით გაფორმებული ყო. ვინც “მონბლანის” წარსულს იცნობს, უმალ მიხვდება, რა გააღიზიანებდა ფირმის ხელმძღვანელებს ბექჰემის ხელმოწერაში – დიახ, სიტყვა “პოპულარული”.

“მონბლანი” ხომ ექსკლუზიურად მაღალი დონის ნაწარმს სთავაზობს მსოფლიოს საქმიან ელიტას. შესაბამისად, მის კალმებს, რომელთა წარმოებაც 1906 წლიდან იწყება და საშუალოდ 1000 დოლარამდე ფასობს, სიტყვა “პოპულარული” შეურაცხყოფად მიაჩნიათ. “მონბლანის” კალმები იმისთვის იქმნება, რომ შემდეგ კონრად ადენაუერმა ჯონ კენედის აჩუქოს (ასეთი ფაქტი ისტორიას მართლაც ახსოვს) და არა იმისთვის, რომ ფეხბურთელებმა პოპულარული ავტოგრაფები მოხაზონ ფურცლებზე.

ამ ექსკლუზიური ნიშნით გამოირჩევა “მონბლანის” სუნამოებიც (რაც შეეხება კალმებს, მათ ძვირფასი მასალისგან, დახვეწილი დიზაინით, ცალ-ცალკე ამზადებენ და საკუთარი უნიკალობის ხაზგასასმელად “საწერ ინსტრუმენტს” უწოდებენ. კომპანიის დევიზი კი ასეთია: “ჩვენ ვყიდით არა მხოლოდ ნივთებს, არამედ ემოციებსაც”). ფირმა პარფიუმერიის ბაზარზე 2000 წელს გამოჩნდა, მაგრამ ამას მისთვის წარმატების მიღწევაში ხელი არ შეუშლია. “მონბლანმა” თავისი ახალი, სურნელოვანი ნაწარმის გასაყიდად კომპანიის საუკუნოვანი პრესტიჟულობა და ტრადიციები გამოიყენა. შესაბამისად, “მონბლანის” წინა სურნელმა “ფრეზენსმა”, ქალებისა და მამაკაცებისთვის, უმალ მოიპოვა ერთგული მიმდევრები. ახლა კი ელიტარული კლიენტურის შეძენას კომპანიის ახალი არომატი “ინდივიდუელი” ლამობს. სუნამო უკვე გამოჩნდა თბილისშიც, კერძოდ კი, “ისი პარის” მაღაზიათა ქსელში, რომელმაც მოაწყო კიდეც “ინდივიდუელის” პრეზენტაცია. “მონბლანის” იმიჯი და სახელწოდება (მას ხომ ევროპის უმაღლესი მწვერვალის სახელი ჰქვია) იმაზე მიუთითებს, რომ ეს ახალი სურნელი უმაღლესი მთიდან სწორედ რომ ელიტარული კლიენტურისთვის გახლავთ “ჩამოტანილი”.

“ინდივიდუელის” მაგალითი მართლაც ინდივიდუალური და უნიკალური გახლავთ: მე პირადად არ დამჭირდა პიარ მენეჯერების მიერ შედგენილ მთელ რიგ კონცეფციებზე თავის მტვრევა და სუნამოს რომ გამორჩეულობაზე ჰქონდა პრეტენზია, ამას მარტივად – მისი სათაურითვე მივხვდი. მართლაც, ახალი სურნელი თავისივე სახელწოდებით ხსნის საკუთარ თავს; სახელითვე გვეუბნება, რომ 23 კომპონენტისგან შექმნილი სითხე სრულიად უნიკალურ სურნელს უნდა აფრქვევდეს – გრილსა და დამამშვიდებელს და რომ ის დამოუკიდებელი, ინდივიდუალური მე-ს მქონე მამაკაცებისთვის უნდა იყოს განკუთვნილი. სხვათა შორის, პრეზენტაციაზე შეეცადნენ, ბუნებრივი სახით სუნამოს რამდენიმე ინგრედიენტი მაინც წარმოედგინათ. მართალია, ვერსად იშოვეს კალაბრიული ბერგამოტი, სანდალოზის ტოტები და ვეტივერი ტონკა ბინი, მაგრამ ოთახში დარიჩინის ჩხირებმა, ვანილმა, ამბრმა, ქინძმა და ჟოლომაც საკმაოდ ეგზოტიკური არომატრი დაატრიალა...

ისე, ალბათ, არომატისთვის სახელისა და კონცეფციის მოფიქრება (თანაც ისეთის, სურნელის არსს ბუნებრივად რომ გადმოსცემდეს) მთელი ფილოსოფია და ხელოვნება უნდა იყოს, ისევე, როგორც თვითონ ამ არომატის შექმნა გახლავთ დიდი შემოქმედებითი პროცესი. თუმცა, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. ახლა ჩვენს ყურადღებას “მონბლანი” ითხოვს, რომელიც თავის მატერიალურ პროდუქციასთან ერთად, ემოციებსაც ჰყიდის და, რაც მთავარია, საუკუნოვანი გამოცდილებითა თუ კარგად მოფიქრებული კონცეფციებით ახერხებს, ამ დევიზის სიმართლეში დაგვარწმუნოს.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.